გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 57
(11 411)

21 – 24 ივლისი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მხედრების პირველი ნახტომი საერთაშორისო არენაზე



საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას მონატრებულ ქართველ მხედრებს ოცნება აუსრულდათ. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა ენერგიულად დაიწყო საქართველოს მხედრების საერთაშორისო არენაზე გასვლისთვის ზრუნვა, რასაც შედეგიც მალე მოჰყვა. სომხებმაც თავისი გაიტანეს — საერთაშორისო ფედერაციას (ფეი) სთხოვეს კავკასიაშიც დაეგეგმათ ტურნირი. და აი, ფეი-ს კალენდარში პირველად გაჩნდა ასპარეზობა „კავკასიის თასის“ სახელწოდებით (მხოლოდ დაბრკოლებათა გადალახვაში).

პირველმა ტურნირმა სამი ქვეყნის — სომხეთის, საქართველოს და ბულგარეთის ცხენოსნებს მოუყარა თავი. ცხენოსნობის ამ ოლიმპიურ პროგრამაში შეჯიბრებები ყოველთვის საინტერესოდ ტარდება. სომხეთმა მასპინძლობას კარგად გაართვა თავი და მხედრებს შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება მისცა. საქართველოდან ტურნირში 5 ცხენ-

იხ. მე–2 გვ.



„ლელოს“ და „ქართული ფეხბურთის“ სპეციალური კორესპონდენტი მამუკა კვარაცხელია კოპენჰაგენიდან:

## „ლიტვაში იოლ გასეირნებას ნუ მოელით“ – ამბობს ლეგიონერი ვენციავიჩუსი

ევროპის საკლუბო გუნდები გაცხარებით ემზადებიან ახალი საფეხბურთო სეზონისათვის. ვარჯიშს საკონტროლო თამაშები სცვლის. „კოპენჰაგენისა“ და „სელტიკის“ მატჩის

იხ. მე–2 გვ.

## ხათუნა ფუტკარაძე – ევროპის სტუდენტთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი საქართველოს რეკორდით!



ბათუმელი მშვილდოსანი ხათუნა ფუტკარაძე სიდნეიში იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებში და მით უფრო სასიხარულოა მისი წარმატება ოლიმპიადისწინა ევროპის სტუდენტთა ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მადრიდში. ხათუნამ იქ ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ახალი რეკორდით. წლეულს მაისში გრან-პრის მეორე ტურში გერმანიაში დამყარებული ჩვენი ქვეყნის თავისივე რეკორდი მთელი 15 ქულით გააუმჯობესა. ამჯერად მან 70 მ. ორჯერად სროლაში 640 ქულა მოაგროვა (318+322). მეთექვსმეტედფინალში ფუტკარაძემ მოუგო ჩეხ გრაკავოვას — 156:145, მერვედფინალში იაპონელ კავუშს — 161:148; მეოთხედფინალში პოლონელ პოდკოპიატის — 106:104, ნახევარფინალში — იტალიელ ალოდს — 105:104; ფინალში შეხვდა ჩინელ ჟმანბინჟის — 106:106. დაინიშნა 1-სრიანი დამატებითი სროლა. ჩინელმა მოარტყა 10-იანში, ხათუნამ — 8-იანში და მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა 34 მონაწილეს შორის. ხათუნა ფუტკარაძის მწვრთნელია თამაზ ფუტკარაძე, ჩვენს დელეგაციას კი აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, რომ ხათუნა ფუტკარაძემ ჯერ კიდევ შარშან მოიპოვა ოლიმპიური თამაშების საგზური, წლეულს VI იყო დახურული დარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონატში, ამ ცოტა ხნის წინათ კი ანტალიის „გრან-პრის“ გათამაშებაში იყო უძლიერესი.

აქვე ვიტყვით, რომ საქართველოში მშვილდოსანთა შეჯიბრებებიც აღარ ტარდება და, როგორც ნახეთ, ბათუმელმა სპორტსმენმა ხათუნა ფუტკარაძემ უცხოეთში გამოსვლისას უკვე ორჯერ იასპარეზა საქართველოს რეკორდით. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მშვილდოსნობის ცენტრად აჭარა იქცა და იქაური როგორც სპორტული, ისე სახელისუფლო ორგანიზაციების ხელშეწყობით, ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ სტატუსს საერთაშორისო არენაზე.

ზემოხსენებულ ჩემპიონატში აჭარიდან კიდევ ორი მშვილდოსანი ასმათ დიასამიძე და ლადო ბოლქვაძე გამოდიოდნენ, მათთვის ეს შეჯიბრება მხოლოდ გამოცდილების მიღებით ამოიწურა.

### მილოცვა

სეოკ-ის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია ევროპის სტუდენტთა თამაშების ვერცხლის მედლის მოპოვებას ულოცავს სახელოვან მშვილდოსანს, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის სტუდენტს ხათუნა ფუტკარაძეს. საქართველოს ყველა ოლიმპიელთან ერთად, წარმატებას ვუსურვებთ ხათუნას მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებში სიდნეიში.

**რუსუდან სიხარულიძე,**
**სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

**რედაქციისაგან:** საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, საზღვარგარეთ გამართული შეჯიბრებებიდან დელეგაციის ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შედეგები დეპარტამენტის პრესცენტრს ან შესაბამის ფედერაციას. ამჯერად ინფორმაცია მადრიდიდან დროულად მოვიდა, რაც იცოდა ჩვენმა ფედერაციამ, მაგრამ არც პრესცენტრს, არც რედაქციას არ აცნობა იმ იმედით, რომ სხვებმაც იცოდნენ შედეგი და სხვა გაზეთებმა მათ საქმეს. სამწუხაროდ, „ლელოს“ წინა ნომერში „გაფუჭებული ტელეფონის“ შედეგად დაშვებულია დასანანი შეცდომა — ხათუნა ფუტკარაძის ნაცვლად ხათუნა ქვრივიშვილი იყო მოხსენიებული, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის.

## სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

„ნგრევის ხუთწლედმა“ ქართული სპორტის საფუძვლებიც გვარიანად შეარყია. მაშინ ყველაფერი სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავებით დაიწყო და ეს „ღირსების“ საქმედ მიაჩნდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წლები, სხვებთან შედარებით, მცირე დანაკარგით, მაინც ჩვენმა სპორტმა გამოიარა. ამას თავისი, უპირველესად მორალური საფუძველი ჰქონდა. ქვეყანას ადამიანები ანგრევდნენ და ყველაზე მეტი, ხაზგასმით ვიმეორებთ, ყველაზე მეტი ნაღდი პატრიოტები მაინც სპორტში აღმოჩნდნენ. სპორტის ზნემაღალმა მუშაკებმა, სისტემის ყველა რგოლში, მათ შორის სპორტულ ბაზებზე, შეძლებისდაგვარად, შეინარჩუნეს ძირითადი უძრავ-მოძრავი ქონება. რაც მთავარია, დატაცება შიგნიდან არ დაწყებულა. გვახსენდება: სიონის სანიჩბოსნო ბაზის ხელმძღვანელებმა საკუთარი სახლის სარდაფში გადამალეს, მტაცებლებს განარიდეს ნავებიც კი. სამწუხაროდ, ყველა როდი იქცეოდა ასე. იგივე ნავები და მანქანები, მაგალითად, თბილისის სანიჩბოსნო სადგურში, როგორც ამბობენ, უკვალოდ აორთქლდა. სპორტული ბაზები იმან უფრო იხსნა, რომ იქ ადამიანები ჩვეულებრივ მუშაობდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ რწმენით და სიკეთის მოლოდინით. თუმცა შემდეგ ბევრს სანანებელი გაუხდა ერთგულება – სანაცვლოდ, წლების მანძილზე უხელფასობა მოიმკეს.

მაშინ ჯერ კიდევ გულში ფიქრადაც ვერავინ გაივლებდა, რომ მათდა უნებურად, ცხოვრების მკაცრი კანონებით, რომელსაც ყველაფრისადმი საყოველთაო ნიჰილიზმი ასაზრდოებდა, საფუძველი ეყრებოდა ჩვენში სპორტის მოძულების ტენდენციას. ეს მერე და მერე გახდა უფრო საცნაური. სპორტის მუშაკებმა ქვეყნის ცხოვრების ურთულეს წლებში შეძლეს ბოლომდე დარჩენილიყვნენ სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტებად. კიდევ ერთი ფაქტი გვახსენდება. მოჭიდავეთა ცნობილმა აღმზრდელმა ოთარ ტატიშვილმა ერთხელ გვითხრა: „დარბაზში მომეჭრნენ, ქუჩაში მიტინგზე რატომ არ გამოდიხართ, ახლავე წამოდით და შემოგვიერთდით“. იცით, მაშინ რა უპასუხია ამ გონიერ მწვრთნელს? „ჩემი პოლიტიკა ახალგაზრდების აღზრდა-დაოსტატება იყო, არის და იქნება“.

ასეთმა ადამიანებმა გადაარჩინეს ქართული სპორტი, ურთულეს პირობებში, შეძლებისდაგვარად შეინარჩუნეს მემკვიდრეობითობა და ტრადიციები. არ დაგავიწყდეთ, ეს მათ შეძლეს ქვეყნად ყველაფრის გაბიაბრუებისა და ეროვნული ღირებულებების საყოველთაო ჩაწიხლვის ფონზე! გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს „ინტერესთა შეუთავსებლობამ“ იჩინა თავი სახელმწიფოსა და ქართულ სპორტს შორის. არადა, რატომ ან რით არიან ისინი უცხო ერთმანეთისთვის? ადრე თუ გვიან, უეჭველად დადგება დრო, როცა საქართველოში სპორტის ტოტალური მოძულება სანანებელი გაგვიხდება. ჩვენში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ, გნებავთ

იხ. მე–2 გვ.

*გაგრძელება.*
*დასაწყისი იხ. „ლელო“ №№55,56.*

### მილოცვა

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან თანამედროვე ხუთჭიდელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორს ***ლევან სალუქვაძეს.***

## მედლებით დიდი სპორტის კარიბჭესთან



ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა ახალი თაობა რომ რწმენით და მტკიცედ მიილტვის დიდი კრივის სამყაროსკენ, არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნულა ჩვენს გაზეთში. ყველაზე ახლოს, დღეს, მიზანთან, ცხადია, კადეტები არიან, რომლებსაც სულ მალე ასაკით მოუწევთ დიდ რინგზე გასვლა. ამჯერად, სწორედ კადეტები (1984-85 წ. დაბ.) იბრძოდნენ საბერძნეთში გამართულ ევროპის პირველობაზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოსავლენად.

28 ქვეყნის 300-ზე მეტ მონაწილეს შორის საქართველოდან 13 მოკრივე იბრძოდა წარმატებისთვის, ფაქტობრივად – ყველა წონით კატეგორიაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ახალგაზრდა მოკრივეთა ჩვენი ნაკრები საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებისგან იყო დაკომპლექტებული, ეს კი იმის ნათელი დასტურია, რომ ქვეყანაში კრივი ყველგან პოპულარულია.

ახლა შედეგებზე. ჩვენებიდან სამმა მოკრივემ მოი-

იხ. მე–2 გვ.

## „მე საქი არა ვარ და ქართველებს ილუზიებს ანქონაშივე გავუქრობ“ – იმუქრება სახელგანთქმული ტრაპატონი. ვნახოთ, ჩვენთან წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. სენიორ ჯოვანი!



იხ. მე–4 გვ.

## ერთსა და იგივე დინებაში ორჯერ ვერ შეხვალ

ეს ძველთაძველი შეგონება, არცთუ იშვიათად, სპორტშიც დამტკიცდება ხოლმე და ახლა ერთხელ კიდევ შეგვახსენა თავი „ჯეოსელის თასზე“ თბილისის პროფესიონალ ჩოგბურთელვაჟთა ტურნირში. დიახ, მოხდა ისე, რომ კვირას დამთავრებული პირველი ტურნირის ფინალისტმა, ესპანელმა სესარ ფერერმა დასკვნით შეხვედრამდე, მეორე წრეში გზიდან რომ ჩამოიცილა რუსეთის წარმომადგენელი ანდრეი იუჟნი (6:0; 4:6; 6:4), მომდევნო ტურნირში გუშინწინ პირველ წრეშივე მასვე დაუპირისპირდა. ეს დაძაბული ორთაბრძოლა რევანშით აღინიშნა – 7:6, 6:2. ესპანელი აშკარად არ ჰგავდა თავის თავს, როგორც დაამახსოვრდა წინა ტურნირში მაყურებელს. ისე ირჯებოდა, თითქოს ისევ გასული შეხვედრების შთაბეჭდილებით, „დიდების სხივებში ცურავსო“. ამასობაში კი, სეტს სეტზე აგებდა.

### ჯეოსელის თასზე

*ეს შეიძლება ახალგაზრდობის ბრალიცაა, ფერერი ხომ ასაკით ვერ გაუსწორდებოდა ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობას, შეიძლება ყველაზე უმცროსიცაა...*

სხვა, ისეთი მნიშვნელოვანი მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრებში არაფერი მომხდარა – ის ერთი სადაგი დღე იყო. წინა ტურნირის გამარჯვებულმა, უკრაინელმა ორესტ ტერეშჩუკმა ეს წრე „უმტკივნეულოდ“ გაიარა და 7:5, 6:2 სძლია რუსეთელ ანდრეი ნოსოვს, არც ტურნირში კვლავ პირველ ნომრად განთესილ რუსეთელ არტიომ დერეპასკოს ჰქონია პრობლემა თანამემამულე სერგეი კროტიუკთან შეხვედრაში – 6:2; 6:0.

ამჯერად მასპინძელი ჩოგბურთელები ირაკლი უშანგიშვილი, თეიმურაზ ბინიაშვილი და გივი სამხარაძე საკვალიფიკაციო შეხვედრების გარეშე დაუშვეს ძირითად ტურნირში. მაგრამ მათგან მხოლოდ სამხარაძემ შეძლო წინ წაწევა, როცა – 6:1, 6:0 სძლია ბინიაშვილს, უშანგიშვილი კი ჩეხ იგორ ბრუკნერთან დამარცხდა – 3:6, 4:6.

წყვილთა შეხვედრებში თბილისელ კ. ბურჭულაძესა და მ. ქორქაშვილს საკმაოდ გამოცდილი რუსული წყვილი (სერგეი კროტიუკი და ევგენი სმირნოვი) ჰყავდა მეტოქედ, რომელსაც სძლიეს – 4:6; 7:5; 7:5. აი, ვ. მარგალიტაძე – ი. უშანგიშვილის შეხვედრა მოლდოველ ევგენი პლიუგაროვსა და ვიქტორ რიბასსთან გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა დიდხანს და სტუმრების უპირატესობით აღინიშნა ერთნაირი ანგარიშით – 6:4; 6:4. ასპარეზობა გრძელდება.

**ზ. უნგიაძე**




# ოლიმპიურ თამაშებს 56 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბანკში გახსნა სპეციალური ანგარიში საქართველოს ოლიმპიელთა დასახმარებლად. ბანკის რეკვიზიტია: გქბ მთაწმინდის ფილიალი. ა/ა №2700344, კოდი 220101666. სუბანგარიში 14700507 „ოლიმპიური თამაშები“.

# ქუთა ისელის განცხადებები

## განცხადება №9

ვამზადებ თვალმისაზიდი დიზაინის სპორტულ პრიზებს ნორჩი ფეხბურთელებისთვის. მშობლებს, რომლებსაც სურთ შეიძინონ პრიზი თავიანთი შვილის დასაჯილდოებლად, ჩანაფიქრი არ უნდა გაახმაურონ. დავძენ მხოლოდ, რომ პრიზი უნდა ჩააბაროთ მწვრთნელს ისე, რომ ბავშვმაც კი ამის შესახებ არაფერი იცოდეს. მწვრთნელი შეჯიბრების შემდეგ, იმის მიხედვით, ბავშვი მეკარეა, მცველი, ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი, შეჯიბრების ორგანიზატორებს მოელაპარაკება და ამ პრიზს აუცილებლად მიიღებს თქვენი პატარა. მერწმუნეთ, ეს ნოვაცია დიდ სტიმულს მისცემს მოზარდს. თქვენც ყველასთან თავს მოიწონებთ შვილის მიერ მოპოვებული პრიზებით.

მომმართეთ ბინაზე ნებისმიერ დროს.

*ქომის ქ. №8. გიორგი*

# სპორტის მოძულეების ტენდენციები საქართველოში!

*პირველი გვერდიდან*

კორუფციამ, განა იმიტომ არ იმძლავრა, რომ ქვეყანაში ფესვგადგმულია დაუსჯელობის სინდრომი? ჰოდა, ვითომ მაინცდამაინც ქართული სპორტის დაქცევისთვის დასჯიან ვინმეს? ამიტომაც კეთდება უპასუხისმგებლო, ხშირად მთელი დარგის შეურაცხმყოფელი განცხადებები უმაღლეს დონეზე. განცხადება კიდევ არაფერი საქმეში ვლინდება მავანთა უგულობა.

იმას ნამდვილად ვერავინ იტყვის, თქვე კაი ხალხო, აქამდე სად იყავითო. არ გვეგულება უფრო თამამი, პირში სიმართლის მთქმელი სხვა ხელმძღვანელი, ვიდრე ჩვენი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, მაგრამ მის მწვავე გამოსვლებსაც ეტყობა შეეგუენ მაღალ ინსტანციებში.

კიდევ ერთი სათქმელი არ მასვენებს. თბილისში, როცა კინოთეატრებში ჩაკვდა სიცოცხლე, ფალავანთა კლუბში ცივ დარბაზში ბიჭებს ორთქლი ასდიოდათ ტანზე, სპორტული დარბაზის კარი კი მაინც არ გამოკეტილა. განა ეს ცოტას ნიშნავს?

ამქვეყნად ბევრი გამოჩნდა ისეთი, რომლებსაც პატრიოტიზმზე მეტად ამბიციები აწუხებთ. კლასიკურ ნიმუშს მოგიტანთ. სპორტული ორგანიზაციების შეტევებისგან „გულგაწვრილებულ“ ერთ მაღალ ჩინოსანს ისიც კი წამოსცდენია (ბოდიში, კალამი გამექცა, ასეთი რამ გონიერ კაცს არ წამოსცდება, ეტყობა ის მართლა ასე ფიქრობდა): „დიდი ამბავი, ოლიმპიურ თამაშებზე თუ არ წახვალთ, როგორმე უთქვენოდაც ჩატარდებაო“ (?!) საინტერესოა, რას ეტყოდა ეს კაცი იმ ბიჭებს, ზემოთ რომ ვახსენეთ, რომლებიც სიდნეის ლიცენზიის მოპოვებისთვის წლების მანძილზე ოფლს ღვრიდნენ?

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი მწვრთნელები, არა აქვს მნიშვნელობა, ისინი სახელიანები არიან თუ ჯერ კიდევ უსახელონი, მხოლოდ კუნთმაგარ ბიჭებს უზრდიან ქვეყანას. ისინი მათ სულიერადაც მტკიცე ადამიანებად ზრდიან. ხომ ყველამ კარგად იცით, რამდენი ძალისხმევა, დრო, გნებავთ, ენერგია სჭირდება, რომ ამა თუ იმ ახალგაზრდამ ნებისმიერი სფეროდან, სამშობლოს სახელი წარმოაჩინოს მსოფლიოში. არც არავის ვედრებით და არც ვეჯიბრებით, მაგრამ ქვეყანამ ხომ უნდა დაინახოს რა სფეროში შეინარჩუნა საერთაშორისო დონე, რაში შეიძლება გავუტოლდეთ მსოფლიოში აღიარებულ სახელმწიფოებს. „საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ თავისი სპორტული ტრადიციებით და პოტენციალით დიდ ქვეყნებს უტოლდება“ – თქვა თბილისში სტუმრობისას მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის წინამძღოლმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. ასეთ შეფასებას ქათინაურს ვერ უწოდებ. მით უფრო, თუ გავიხსენებთ აშშ-ის პრეზიდენტის ჯერ კიდევ ცივი ომის ეპოქაში ნათქვამს: „ქვეყნის სიძლიერე დღეს რაკეტებისა და სახელოვანი სპორტსმენების რიცხვით იზომებაო“. რაკეტებში გაჯიბრება, ვფიქრობთ, ისტორიას ჩაბარდა, აი სახელოვან სპორტსმენთა სიმრავლე კი, კვლავ რჩება ყავლგაუვალი თავმოწონების ფენომენად...

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**

*გაგრძელება იქნება*

# მხედრების პირველი ნახტომი საერთაშორისო არენაზე

*პირველი გვერდიდან*

მხედარი გამოდიოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენების დებიუტი წარმატებული გამოდგა. მხოლოდ I ან II ადგილი მოდის მათ წილად. თანაც რამდენჯერმე გამარჯვებული და მეორე პრიზიორი დამატებით ხტომებში გამოვლინდა.

ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას პირად პირველობაში მიაღწია თბილისის „ჟოკეიკლუბის“ მხედარმა გიორგი სამხარაძემ, რომელმაც „კავკასიის თასი“ მოიგო. ეს პროგრამა მთავარი იყო პირად პირველობაში მოასპარეზეთათვის. მეორე ადგილზე გავიდა სომხეთის წარმომადგენელი ნორიკ სტეპანიანი, მესამე იყო ბულგარელი პლამან პეინოვი. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული ჩვენსა და სომეხ მხედარს შორის გამართულ დამატებით ხტომებში გამოვლინდა. დამატებითი ხტომები გახდა საჭირო გუნდურ შეჯიბრებაში „კავკასიის თასის“ პირველი მფლობელის ვინაობის დასადგენადაც. აქ უკვე მცირე უპირატესობით მასპინძლებმა იმარჯვეს, მესამე ადგილზე გავიდნენ ბულგარელები. ეს იყო ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი. მანამდე კი დანარჩენ პროგრამაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. **კონკური №1.** ჩქაროსნული: 1. რობერტ ხაჩატრიანი (სომხეთი) — ადრე იგი თბილისში ცხოვრობდა და აქ დაეუფლა ცხენოსნობას, 2. გიორგი სამხარაძე, 3. ნორიკ სტეპანიანი (სომხეთი); **კონკური №2.** 1. ფიქსირებული დროით: 1. გეორქ ოჰანესიანი (სომხეთი), 2. გიორგი სამხარაძე (გამარჯვებული ამ ორ მხედარს შორის დამატებით ხტომებში გამოვლინდა, 3. კახა კიკიანი (თბ. შინაგანი ჯარი); **კონკური №3.** საუკეთესო ქულების ჯამით: 1. რობერტ ხაჩატრიანი. 2. ირაკლი მარკოზაშვილი (თბ. „ჟოკეიკლუბი“), 3. როინ მარგიანი (თბ. განათლების სკოლა).

**ც. ბაქრაძე**

# მედლებით დიდი სპორტის კარიბჭესთან

*პირველი გვერდიდან*

პოვა საპრიზო ადგილი. სამივე – ფოთიდანაა. მეორე ადგილზე გავიდა იუზა გულორდავა (73 კგ), მესამეზე – ზაურ ოჩიგავა (48) – ორივეს მწვრთნელია ზაურ ანთია. კიდევ ერთი მესამე პრიზიორი ლაშა ადამიაა (60), რომელსაც ცეზარ კულუა ამზადებს.

მართალია, საპრიზო ადგილზე არ გასულან, მაგრამ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს თბილისელებმა ტარიელ ზანდუკელმა და დავით დუნდუამ, მარნეულელმა მამუკა გიგანმა და ქუთაისელმა ვახტანგ ჭეიშვილმა. საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში VII ადგილზე გავიდა. ათეული კი ასე გამოიყურება: 1. რუსეთი, 2. უკრაინა, 3. რუმინეთი, 4. საბერძნეთი, 5. გერმანია, 6. უნგრეთი, 7. **საქართველო**, 8. სომხეთი, 9. თურქეთი, 10. ისრაელი.

**შ. სადირაშვილი**

# გართობა – თამაშები წყალზე

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №56.*

**VII თამაში:** (ნახ.№7) 4-6 მონაწილე შედის წელამდე წყალში და წრიულად დგება. დანარჩენი 4 მონაწილე ერთმანეთთან ხელიხელ ჩაკიდებული დგებიან წელამდე წყალში 1,5-2,0 მეტრის დაშორებით წრეში მდგარ მოთამაშეებიდან. მათ ხელებზე მუცლით წვება მე-5 მონაწილე, რომელსაც ნიშნის მიცემისთანავე ატყორცნიან მაღლა ისე, რომ წყალში ჩასვლისას წრიულად მდგარი პარტნიორების ცენტრში ჩაეშვას და ჩაყვინთოს.

**VIII თამაში:** (ნახ.№8). მოთამაშეები დგებიან ერთმანეთის ზურგს უკან, წვებიან წყალზე მუცლით, გა-



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10



ნახ. 11

დააჭდობენ წელზე ფეხებს ერთმანეთს და ასეთ მდგომარეობაში იწყებენ ცურვას ხელებით, გუნდის ბოლოში მდგარ მოთამაშეს უფლება აქვს ცურვის დროს ხელებთან ერთად ამოძრაოს ფეხები (თუ მონაწილეთა რიცხვი ბევრია, სასურველია შეიქმნას რამდენიმე გუნდი, რომლებიც ერთდროულად მიიღებენ გაცურვაში მონაწილეობას და მათ შორის გამარჯვებულიც გამოვლინდება).

**IX თამაში:** (ნახ. №9) – რამდენიმე მონაწილე შედის ღრმა წყალში, ისე, რომ ფეხებით ვერ მისწვდეს წყლის ფსკერს, ხელები მაღლაა აწეული, ფეხების ენერგიული მოძრაობით ცდილობენ დიდხანს დარჩნენ წყალზე – ვერტიკალურ მდგომარეობაში. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ყველაზე გვიან ჩაიძირება.

**X თამაში:** (ნახ. №10) – შედით წელამდე წყალში. წყლის ფსკერიდან ფეხების ძლიერი არეკნით შეეცადეთ გადაბრუნდეთ თავს უკან და დადგეთ წყლის ფსკერზე ფეხებით (უკუმალაყი ანუ „სალტო“).

**XI თამაში:** (ნახ.№11) ამ თამაშის მონაწილენი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან წელზე შემოხვეული ფეხებით და №8 თამაშის ანალოგიურად მხოლოდ ცურავენ გულაღმა. თავში მდგარი მოცურავე იზნიქება წელში და მკვეთრი მოძრაობით ყვინთავს წყალში, აკეთებს წრიულ მოძრაობას და უერთდება ბოლო მონაწილეს. მის გზას მიჰყვებიან დანარჩენი მონაწილეები; ამ თამაშის ყველა მონაწილე მხოლოდ ხელების მოძრაობით ცურავს. ასეთი ერთდროული მოქმედებით წარმოიქმნება ბორბალი, რომელიც წყალში იწყებს ბრუნვას.

წყლის ზედაპირზე ამოსვლისას – ჩაისუნთქეთ, წყალში ყვინთვის დროს ამოისუნთქეთ.

**ჯემალ კვანტალიანი,**
**სპორტის ოსტატი.**
***ნახატები შესრულებულია ავტორის მიერ***

*გაგრძელება იქნება*

# „ლიგაში იოლ გასეირნებას ნუ ელით“ – ამბობს ლეგიონერი ვენციავიჩუსი

*პირველი გვერდიდან*

მეორე ტაიმში მასპინძელთა გუნდში შეცვლაზე გამოვიდა ლიტველი ლეგიონერი, 26 წლის საყრდენი ნახევარმცველი დონატას ვენციავიჩუსი. ცხადია, მის თამაშს ყურადღებით ვაკვირდებოდი, ვინაიდან ლიტვის ნაკრები საქართველოს გუნდის მეტოქეა მსოფლიო ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში. 25 წუთის მანძილზე, რაც მინდორზე გაატარა, ხეირიანად ერთხელაც ვერ მიიღო ბურთი! მართალია, იგი მინდვრის შუა მოთამაშეა, ამჯერად ფლანგზე დარბოდა და, ალბათ, იმიტომ დარჩა ლიტველი უსაქმოდ. მატჩის შემდეგ მას გავესაუბრე.

— მეორე სეზონია „კოპენჰაგენში“ ვარ, მანამდე პოლონეთში, ვარშავის „პოლონიაში“ გამოვდიოდი, სულ თავიდან კი „ჟალგირისში“. სხვათა შორის, მეგობრობის თასზე, მოსკოვში „ჟალგირისის“ შემადგენლობაში ვითამაშე თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ.

● ***სამ თვეში საქართველოს ნაკრები ჩამოდის ლიტვაში სათამაშოდ, როგორ შეაფასებდი გუნდების შანსებს?***

— ვფიქრობ, შანსები თანაბარია. მართალია, ძლიერი გუნდი არა გვყავს, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას გაგიწევთ.

● ***ვინ ასრულებს ნაკრებში ლიდერის როლს?***

— უდავოდ, იანკაუსკასი. იგი 25 წლისაა. ახლა ესპანეთში გამოდის და სწორედ მისმა ბრწყინვალე თამაშმა გადაარჩინა გუნდი გავარდნას. მანამდე იგი მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდში ასპარეზობდა, სადაც, სხვათა შორის, სწორედ თბილისის „დინამოსთან“ ბრწყინვალე თამაშის შემდეგ მოხვდა. ჩვენ მაშინ 3-1 მოვიგეთ და იანკაუსკასმა დუბლი შეასრულა.

● ***დღეს თამაში არ წაგივიდა, ნაკრებში თუ გიწვევენ?***

— საერთო ჯამში ნაკრებში 25 მატჩი ჩავატარე და, ვგონებ, ამ შესარჩევ ციკლშიც გუნდში ვითამაშებ. წელს ჩვენს კლუბს ახალი მწვრთნელი ჰყავს — როი ჰოჯსონი და ჩემი მიზანია თავი მოვაწონო. ამოცანად დავისახე ჯერ კლუბში დამკვიდრება, შემდეგ — ნაკრებში.

● ***ქართველი ფეხბურთელების თამაშს თუ ადევნებ თვალს?***

— რა თქმა უნდა, შოთა არველაძეს, ქინქლაძეს, ქეცბაიას ვინ არ იცნობს? კალაძე და დემეტრაძეც ჩინებული ფეხბურთელები არიან. მოკლედ, სახელოვანი მოთამაშეები გყავთ და, წესით, ჯგუფიდან გასვლაზე უნდა იფიქროთ.

● ***ჰოჯსონს როგორ ელაპარაკები, ინგლისურად?***

— ინგლისური ცუდად ვიცი. ჯერჯერობით თარჯიმანი მჭირდება. დანიურად ცოტას ვახერხებ. ისე, დიდი მადლობა საუბრისათვის, რუსული თითქმის დამავიწყდა.

* * *

„ბრონდბიუს“ მარცხენა მცველმა აური სკარბალიუსმა გერმანულ „შალკესთან“ მთელი მატჩი ჩაატარა. მაგრამ ლიტველი მეტად უფერულად გამოიყურებოდა. ჩემი დაკვირვებით, ფინტებზე ხშირად „ეგება“ ხოლმე. „შალკეს“ შავკანიანი თავდამსხმელი, გაგერმანებული გერალდ ასამოა, დიდი ვერაფერი ფორვარდი იყო, მაგრამ სკარბალიუსი ბევრჯერ ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. მატჩის შემდეგ „ბრონდბიუს“ ახალმა მწვრთნელმა ნორვეგიელმა ოგე ჰარიედემ უფერული თამაშისათვის მთელი გუნდი მკაცრად გაკიცხა და მეც გასახდელთან ლამის ორი საათი ველოდე ლიტველ ლეგიონერს, ამიტომაც მხოლოდ ორიოდე წუთი ვისაუბრეთ: მეხუთე წელია დანიაში ვარ, ტრავმებმა გამაწამა და ძალზე ცოტა ვითამაშე, თუმცა, ახლა მოვმჯობინდი და, ვფიქრობ, ადგილს დავიბრუნებ როგორც გუნდში, ისე ნაკრებში. რაც შეეხება მომავალ შეხვედრას საქართველოს გუნდთან, ალბათ, იგი იოლი არ იქნება.

# დაწყნარდით, ხალხო, თავხედობა ჯერ სტადიონის მინდვრამდე არ მისულა

„ლელოს“ 54-ე ნომერში, რუბრიკით „ქუთა ისელის“ განცხადებები, №6 განცხადებაში ლაპარაკი იყო, რომ „ცხადდება ტენდერი ეროვნული სტადიონის საფეხბურთო მინდორზე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებაზე“.

დავძენთ, რომ ავტორი, ასეთი განცხადებებით, საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს იმ მანკიერებებზე, რამაც ჩვენში განუკითხაობისა და დაუსჯელობის სინდრომის წყალობით იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, ბევრი ამ განცხადებამ აღაშფოთა, რედაქციაში გამუდმებით გვირეკავენ და ითხოვენ დაზუსტებას, მართლა ხომ არ ემუქრება საფრთხე ეროვნულ სტადიონს.

დაწყნარდით, ხალხო, თავხედობა, კიდევ კარგი, ჯერ აქამდე არ მისულა. ისე, ალბათ, განა როდესმე წარმოიდგენდით ბაზრობად ქცეულ „დინამოს“ სტადიონს?..

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორიგი ამხანაგური და ისევ სტუმრად

*16 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები მორიგ ამხანაგურ გასვლით მატჩს გამართავს ირანის ნაკრებთან. ცნობილი გახდა იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებსაც უხმეს დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა:*

***მეკარეები:*** დავით გვარამაძე, („კრილია სოვეტოვი"), სოსო გრიშიკაშვილი („დინამო" თბ.), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი" თბ.);

***მცველები:*** ოთარ ხიზანეიშვილი („სპარტაკი" მ.), გიორგი ნემსაძე („დანდი), ზურაბ ხიზანეიშვილი, სევასტი თოდუა (ორივე — „ლოკომოტივი" თბ.), ლევან სილაგაძე, მამუკა წერეთელი (ორივე — „ალანია", კახი კალაძე („დინამო" კ.), გიორგი ჭანკოტაძე („ვიტ-ჯორჯია"), გივი დიდავა („მაკაბი");

***ნახევარმცველები:*** თენგიზ სიჭინავა („ტორპედო" ქ.), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი"), გოჩა ჯამარაული („ციურიხი"), ზურაბ მენთეშაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი (ორივე — „სკონტო");

***თავდამსხმელები:*** მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი"), შოთა არველაძე („აიაქსი"), არჩილ არველაძე („კიოლნი"), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი"), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი"), გიორგი დემეტრაძე („დინამო" კ.)

თბილისში მოკლევადიანი შეკრების შემდეგ ირანში საბოლოოდ 18 ფეხბურთელი გაემგზავრება.

შეკრებაზე გამოძახებულთა შორის ვერ ვხედავთ „ძველი გვარდიის" რამდენიმე წარმომადგენელს. განსაკუთრებით თვალში საცემია გიორგი ქინქლაძის არყოფნა: როგორც ვიტყობინებოდით მას დღე-დღეზე გაუკეთებენ საზარდულის ოპერაციას. ასევე ტრავმირებულია სკონტელი დავით ჩალაძე. სათუოა, რომ ირანში გაემგზავროს კახი კალაძეც — ტრავმამოუშუშებელი ეს-ესაა შეუდგა მსუბუქ ვარჯიშს.

## როგორც იქნა, შერიგდნენ

ზევით ირანის ეროვნულ ნაკრებთან სათამაშოდ გამოძახებული ქართველი ფეხბურთელების სია გააზლეთ. კარგა ხნის შესვენების შემდეგ მასში კვლავ ვხედავთ ვლადიკავკაზის „ალანიას". მცველ მამუკა წერეთელს. როგორც ამბობდნენ, ადრე ნაკრების მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა წერეთელი გუნდიდან იმიტომ მოკვეთა, ცოლის მოყვანა არ აპატია („ცოლთმოძულე" მწვრთნელს არაერთხელ განუცხადებია — ვისაც ნაკრებში თამაში სურს, დაოჯახება სამერმისოდ გადადოსო). უნაკრებოდ დარჩენილი ფეხბურთელი ძალიან განიცდიდა შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ თანდათან შეძლო ნერვების მოთოკვა და დამაჯერებლად ათამაშდა „ალანიაში". ეს ფაქტი, ეტყობა, ნაკრების მწვრთნელების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა და გუნდში უხმეს. „ამნისტირებული" წერეთელი ძლიერ გახარებულია ამ ამბით და მისი თქმით, ყველას დაუმტკიცებს, რომ დაოჯახება მის სპორტულ ფორმაზე მხოლოდ სასიკეთოდ იმოქმედებს.

## ბუნდესლიგელსაც თანაბრად ვეთამაშეთ

ქართული საფეხბურთო გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებისთვის მზადებას განაგრძობენ. ქუთათურთა ბულგარულ შეკრებაზე ადრე გატყობინებდით. რაც შეეხება თბილისის „ლოკომოტივს", რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები ადგილზე ორჯერადი ვარჯიშებით და საკონტროლო მატჩების ჩატარებით კმაყოფილდებიან. თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" კი თბილისური შეკრების შემდეგ გერმანიას მიაშურა და იქაურ გუნდებთან ასპარეზობით გადის ფონს. მეტოქეები, ძირითადში, რეგიონალლიგაში მოთამაშე კოლექტივებია. თუმცა ბუნდესლიგაში ახლად გადასულ „კოტბუსთანაც" სცადეს ბედი. მატჩი ფრედ 1-1 დამთავრდა. თავიდან ჩვენები ჯაბა მუჯირის გოლით დაწინაურდნენ, მერე კი პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა იმარჯვეს და ანგარიში გაათანაბრეს. ეს იყო და ეს, მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა.

## ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

***1. ვინ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი ფეხბურთში 1956 წელს***

ა) „რეალმა"

ბ) „ბენფიკამ"

გ) „მილანმა"

***2. რა სიმბოლიკაა გამოხატული ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ემბლემაზე?***

ა) ბურთი, ფარი და მახვილი

ბ) ბურთზე შემომჯდარი შევარდენი

გ) არგონავტების ნავი იალქანზე ბურთით

***3. ვინ მოიპოვა პირველმა აფრიკის კონტინენტზე ოქროს ბურთი?***

ა) მილამ

ბ) დანდიმ

გ) კეიტამ

***4. თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ პირველად რომელმა ბრაზილიურმა კლუბმა ითამაშა თბილისში და რომელ წელს?***

ა) „ატლეტიკო პორტუგეზამ" 1956 წ.

ბ) „ატლეტიკო მინეირომ" 1957 წ.

გ) „კორინთიანსმა" 1958 წ.

***5. ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ვინ ითამაშა ფინალში?***

ა) „ატლეტიკომ" და „რეინჯერსმა"

ბ) „ფიორენტინამ" და „ატლეტიკომ"

გ) „ფიორენტინამ" და „რეინჯერსმა".

**წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ.**

## ინფორმაცია

**მკითხველმა იცის, რომ ევრო-2004-ის გამართვის პრეტენზიას ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებული კონგლომერატი აცხადებდა, მაგრამ უეფამ ბოლო მომენტში ეს უფლება პორტუგალიას მიანიჭა. აი, სად ჩატარდება 2008 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, ევროპას ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია. ბოლო დღეებში ცნობილი გახდა, რომ ამ შეჯიბრების გამართვის პატივი სურს ერგოს რუსეთს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის ეს ინიციატივა დიდად მოიწონეს ქვეყნის პოლიტიკურმა წრეებმა. უეფა ევრო-2008-ის მასპინძელს სამი წლის შემდეგ დაასახელებს.**



*ძმების გზები გაიყარა. ამიერიდან შოთა ჰოლანდიაშია, ხოლო არჩილი — გერმანიაში.*




## ბაქი-ბუქი სხვაა, რეალობა — სხვა

**საქმე იქითკენ მიდის, რომ ლევან კობიაშვილი მომავალი, 2001/02 საფეხბურთო სეზონიდან ბუნდესლიგის სიძლიერით მეორე გუნდში ლევერკუზენის „ბაიერნში" გადავა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ კოლექტივში მმართველობის სადავეებს ფოლკერ ფინკე ჩაიგდებს ხელში.**

არაერთხელ გვითქვამს, რომ გერმანიის „ფრაიბურგში" მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა ***ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა*** და ***ლევან ცქიტიშვილმა*** იქაურ გულშემატკივრებს ძალიან შეაყვარეს თავი. განსაკუთრებით ეს კობიაშვილზე ითქმის, რომელიც დღეს გუნდში ძირითად „გამწევ" ძალად იქცა. მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე იმდენად მოიხიბლა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის თამაშით, სხვადასხვა ინტერვიუში ხშირად იმეორებს, რომ „კობის" ვერასოდეს შეელევა და რომელ გუნდშიც გადავალ სამუშაოდ, მას ყველგან თან წავიყვანო. ფოლკერის ეს გამონათქვამები გახდა იმის საბაბი, რომ გერმანულ პრესაში გამოჩენილიყო ინფორმაცია ლევანის სამომავლო ტრანსფერის თაობაზე.

საქმე ისაა, რომ 2001 წლის ზაფხულიდან გერმანიის ეროვნული ნაკრების დროებითი ხელმძღვანელი რუდი ფიოლერი მართვის სადავეებს გადასცემს ლევერკუზენის „ბაიერის" მთავარ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს, რომელმაც საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე საჯაროდ განაცხადა, რომ ერთდროულად ვერ უხელმძღვანელებს ნაკრებსა და კლუბს, ამიტომ მან გადაწყვიტა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ნაკრებს მოახმაროს.

დაუმის გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო „ბაიერის" მესვეურები. ვის არ ასახელებენ დაუმის მემკვიდრედ — ამჟამად უმუშევრები ბერტი ფოგტსი, ული ჰიონესი, ერიხ რიბეკი, თუ სხვა კლუბებში მოღვაწე სპეციალისტები? ბოლო ხანს კანდიდატთა შორის სულ უფრო ხშირად გაიძახიან „ფრაიბურგის" მთავარი მწვრთნელის გვარსაც, რომელიც ამ თემაზე ჟურნალისტებთან საუბარს გაურბის. და მაინც, პრესაში აქა-იქ გამოჩნდა ცნობამ იმის თაობაზე, რომ რამდენიმე დღის წინათ, „ბაიერის" მესვეურებს ხანგრძლივი შეხვედრა ჰქონიათ ფინკესთან. ფრაიბურგის ადგილობრივი გაზეთები მიიჩნევენ, რომ ფინკეს წასვლის შემდეგ გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, მათგან უპირველესი კი სწორედ ლევან კობიაშვილია, რომელმაც მართლაც ჩინებულად ჩაატარა შარშანდელი სეზონი. გაზეთი „ფრაიბურგ ალდემაინე" ასე ახასიათებს ჩვენებურს: „კობიაშვილის დონის ფეხბურთელები უფრო ძლიერ გუნდს იმსახურებენ და ამაში გასაკვირი არაფერია. ის უდიდესი დიაპაზონის მოთამაშეა, დაცვაშიც, მოედნის ცენტრშიც, თავდასხმაშიც. ყველგან მაღალოსტატურად ირჯება და თამაშში მთელ თავის ენერგიას აქსოვს. კონტრაქტით კობიაშვილმა „ფრაიბურგში" ერთი სეზონიღა უნდა დაჰყოს და კიდეც რომ არ წავიდეს ფინკე გუნდიდან, ქართველი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტის სტატუსით მაინც მიაშურებს სხვა კლუბს."

ვფიქრობთ, სიტუაცია ნათელია და ახლა საკითხავი მხოლოდ ისაა, წავა თუ არა ფინკე ლევერკუზენში? გაისად ამ დროს უკვე გაიცემა პასუხი ამ კითხვაზე.

გერმანიიდან უფრო აღმოსავლეთით, უკრაინაში გადმოვინაცვლოთ და კიევის „დინამოში" მოთამაშე ქართველებზე — ***გიორგი დემეტრაძესა*** და ***კახი კალაძეზე*** ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ვინაიდან ლაპარაკია ტრანსფერებზე, ამთავითვე გეტყვით, რომ ამ მომენტისათვის საერთოდ შეწყდა ლაპარაკი გუნდიდან დემეტრაძის გაყიდვის თაობაზე. „დინამოდან" „ტოტენჰემში" სერგეი რებროვის გადასვლის შემდეგ კიეველებს შეტევაში მხოლოდ დემეტრაძე შაცკიხის დუეტის ეიმედებათ. ჯერჯერობით არც კალაძის მომავალი ტრანსფერისა ისმის რამე, მით უმეტეს, ამჟამად იგი ტრავმირებულია და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. რაც შეეხება ქართველი გულშემატკივრების შიშს, რომ კახი კალაძე ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, უსაფუძვლოა — ოქტომბერში, ლიტვისა და იტალიის გუნდების წინააღმდეგ კალაძე აუცილებლად ითამაშებს. მით უმეტეს, ეს მისივე ინტერესებში შედის: ქართველი მცველის ყიდვა, მოგეხსენებათ, „მილანს" სურს. თუ იტალიელებს ანკონაში (მატჩი იქ გაიმართება) კალაძის თამაში მოეწონათ, შეიძლება სერია — A-ს შესვენების დროს (დაახლოებით 5 იანვრიდან) იგი თავის გუნდში გადაიყვანონ.

ჩვენს სატრანსფერო მიმოხილვებში რახანია არ გვითქვამს ***გოგა გახოკიძის*** შესახებ. მას შემდეგ, რაც იგი ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა" ისრაელის „მაქაბიში" გაანათხოვრა, წელიწადი გავიდა. ამ დღეებში ჩვენებური „ეინდჰოვენის" მთავარ მწვრთნელ ერიკ გერეტს შეხვდა და მოითხოვა ან კლუბში დააბრუნონ, ან თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭონ. გერეტსი თავის გადაწყვეტილებას ამ დღეებში გამოიტანს.

დრო გადის და ყველაფერს თავისი ლოგიკური დასასრული აქვს. საცაა ეს სატრანსფერო სეზონიც მიილევა. მომავალ მიმოხილვებში შედეგებსაც შევაჯამებთ, მაგრამ ამთავითვე ვიტყვით, რომ ქართველი ფეხბურთელებისთვის წლევანდელი ზაფხულის ეს პერიოდი მაინცდამაინც ნაყოფიერი არ გამოდგა. აბა, რომელი „ხმამაღალი" ტრანსფერებით დაიკვეხნიან ისინი? — ***არჩილ არველაძის*** „კიოლნში", ***ლევან ხომერიკისა*** და ***ამირან მუჯირის*** — „არაუში", ***ლევან ქებაძის*** — „ირაკლისში", ***ოთარ ხიზანეიშვილის*** მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლა, კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო გადასვლა-გადმოსვლა — აი ის მონაგარი, რომელსაც წარმატებულს მაინცდამაინც ვერ დავარქმევთ.

არადა, ეროვნული ნაკრების მატჩებიც კარს მოგვადგა. ჯერ ამხანაგურებზე ვთქვათ. ქართველები ირანს 16 აგვისტოს გასვლით შეხვედრაში გაეჯიბრებიან. 3 სექტემბერს ჩვენები ყაზახეთს ეწვევიან და იქაურ ნაკრებს ეთამაშებიან. ამბობენ, იმ პერიოდში ყაზახეთში აზერბაიჯანზე მეტი სიცხე იქნება და იქ განცდილმა კიდევ ერთმა მარცხმა საბოლოოდ უნდა გამოაფხიზლოს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები. ამრიგად, „ცივშხაპმილებული" ჩვენი ნაკრები ოქტომბრისთვის შესარჩევ მატჩებს (ლიტვასთან, იტალიასთან) მზადყოფნაში შეხვდებაო...

**ჯემალ ჭიკაშვილი**

**P.S. ბოლო მომენტში ცნობილი გახდა კიდევ რამდენიმე მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. იტყობინებიან, რომ ნიუკასლელი თემურ ქეცბაიას შეძენის სურვილი გამოუქვამს „ვესტ ჰემს". როგორც იცით, თავის დროზე თემური „ახალციხელთა" გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით მოხვდა. ე.ი. ჩვენებური „ნიუკასლს" სატრანსფერო თანხის გადაუხდელად ერგო. ახლა კი მწვრთნელ რობსონს ქეცბაიაზე ფულის გაკეთება განუზრახავს — ქართველ ლეგიონერში „ვესტ ჰემმა" მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაიხადოს.**

**გარდა ამისა, ამ დღეებში შეიძლება განხორციელდეს კიდევ ერთი გარიგება — ბათუმის დინამოელთა მეკარე ნიკა ტოგონიძე გადავა ერთ-ერთ არგენტინულ კლუბში. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდებია.**

# ჩამოაგდებს ფრანცი ზეპს ოლიმპიდან?






ბლატერმა მუნდიალი-2006-ის მასპინძელი დაასახელა და ბეკენბაუერის „მარწუხებში" მოექცა.

## 1. „სადაც ბეკენბაუერია, იქ ყოველთვის გამარჯვებაა!"

ამ შემოდგომაზე გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხანშიშესული პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი პოსტიდან მიდის. ამასთან დაკავშირებით ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვაა — ვინ უნდა შეცვალოს იგი თუ არა სახელგანთქმულმა ფრანც ბეკენბაუერმა? თავად კაიზერ ფრანცი კი შეუვალია: „რომელ პრეზიდენტობაზეა ლაპარაკი? საერთოდ, ვაპირებ კავშირიდან წასვლას, ვიცე-პრეზიდენტობა კი იმიტომ მინდოდა, 2006 წლის სამუნდიალო ბრძოლაში ოფიციალური სტატუსი რომ მქონოდა. მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელად სიამოვნებით დავრჩები. კავშირის პრეზიდენტის პოსტს რაც შეეხება, გერჰარდ მაიერ-ფორფელდერის (იგი ფიფას აღმასკომის წევრი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და ს.კ. „შტუტგარტის" პრეზიდენტია) კანდიდატურას დავუჭერ მხარს." ამასთანავე, ბეკენბაუერი აშკარად მიგვანიშნებს თავისთვის სასურველ თანამდებობას: „არ დაგავიწყდეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა მოგვიწევს და ამ დიდ საქმეს საკადრისი ორგანიზება სჭირდება".

და მაინც, გერმანიის საფეხბურთო ავტორიტეტები ბეკენბაუერს არ ეშვებიან. მათი აზრით, ბრაუნის მემკვიდრე მხოლოდ იგი უნდა გახდეს და სხვა არავინ. გამომსვლელთა პათოსი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონის ბერნდ ჰოლცენბაინისნაირია: „ჩვენ მუნდიალი-2006"-ის მასპინძლობა მხოლოდ იმიტომ მოვიპოვეთ, რომ ამ საქმეში ფრანცი იყო ჩართული. სადაც ბეკენბაუერია, იქ ყოველთვის გამარჯვებაა!".

## 2. რაო, ზეპ! საქმე შემერყა?

ნამდვილად ასეა. მუნდიალი-2006 სამხრეთ აფრიკის ნაცვლად გერმანიაში გაიმართება და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ფიფას პრეზიდენტმა საჯაროდ დაუჭირა მხარი აფრიკელებს (ეს მისი წინასაარჩევნო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო)! ცხადია, ასეთ ვითარებაში ბლატერის ავტორიტეტი ძლიერ შეილახა, გარდა ამისა, ფიფაში არსებულ კორუფციაზეც საკმაოდ ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ავსტრალია-ოკეანეთის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტის, ახალზელანდიელი ჩარლზ დემპსის „ღალატმა" საკმაოდ დააჩქარა სკანდალის „მომწიფება".

საფეხბურთო წრეები მომხდარში იოზეფ ბლატერს ადანაშაულებენ. ჟოაო აველანჟისგან განსხვავებით, რომელიც ფიფას 24 წელიწადი ხელმძღვანელობდა, ბლატერმა ვერ გამოიჩინა თავი მოქნილ დიპლომატად — აბა, შეიძლებოდა ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატის ასე საჯაროდ მხარდაჭერა? მაგრამ, იმასაც ამბობენ, რომ ბლატერმა ყველაზე დიდი შეცდომა გაცილებით ადრე დაუშვა, როცა აზიის კონფედერაცია გადაიმტერა: გახსოვთ, ალბათ, აზიელები, სანამ „მუნდიალი-2002"-ის შესარჩევი ეტაპი დაიწყებოდა, იაპონია-კორეის ფინალურ ტურნირში დამატებით ადგილს ითხოვდნენ. მაშინ ბლატერმა აზიელების ეს პრეტენზია არც კი განიხილა და იქაური კონფედერაციის მესვეურთ შანტაჟისტები უწოდა. ამით განაწყენებულმა ოთხმა აზიელმა დელეგატმა მუნდიალი-2006-ის მასპინძლობის საკითხის გადაწყვეტისას გერმანიას დაუჭირა მხარი.

კვლავ ჩარლზ დემპსის „თავგადასავალს" დავუბრუნდეთ, რომელიც კლასიკური მაგალითია იმისა, რომ ფიფაში ნამდვილად მზადდება ამბოხება. როცა ახალზელანდიელის საქციელი გაცხადდა, დემპსიმ განაცხადა — ფიფადან მიკავშირდებოდნენ და გერმანიის სასარგებლოდ ხმის მიცემას მაძალებდნენო. კი, მაგრამ, ვინ იყვნენ ის ჩინოვნიკები, რომლებიც ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ გაილაშქრნენ? და თუ ეს მართლაც ასე იყო, რატომ არ შეატყობინა ბლატერმა სათანადო ორგანოებს დემპსის დაშანტაჟების შესახებ?

## 3. ინფნეეს თუ არა ფიფა, რას სოქმა ინფნია?

წინა წლებში „ლელომ" არაერთხელ აცნობა მკითხველს იმის თაობაზე, როგორ „გაისარჯნენ" ოლიმპიადების მასპინძლობის დადგენისას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები. 13 მათგანი მაშინ მექრთამეობას შეეწირა. როგორც ეტყობა, იგივე ბედი ფიფას ეწევა. სამხრეთაფრიკელებმა კატეგორიულად მოითხოვეს გამოიძიონ დემპსის მტკიცება იმის თაობაზე, რომ აღმასკომის 24 წევრიდან ქრთამი ნახევარს მაინც შესთავაზესო. საკვირველი ერთია: მომხდარს უარყოფენ მხოლოდ გერმანელები — ქრთამი არავისთვის შეგვითავაზებიაო. აი, ფიფას აღმასკომის წევრები კი, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბესო, რატომ არიან ისინი გასუსულები?

ახლა ისიც დავუშვათ, რომ სკანდალი ჩაიფარცხა და ფიფამ ამავე შემადგენლობით მიაღწია 2002 წლამდე. ამთავითვე ნათელია, რომ ფიფას პრეზიდენტის არჩევნებზე ბლატერის შანსები საგრძნობლად მცირე იქნება. დღევანდელი გადასახედიდან ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურას მოიაზრებენ.

## 4. ლენარტი დაბერდა, სხვებიც საექვოა.

ფრანცი — აი, ვინ სჭირდება ფეხბურთს!

ყველას ახსოვს, როგორი „ჭიდაობა" გაიმართა ფიფას პრეზიდენტის სავარძლისათვის ზეპ ბლატერსა და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს შორის. მაშინ ზეპმა ხმების მცირე რაოდენობით აჯობა შვედს. თითქოსდა ახლა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ყოველივე ევროპის საფეხბურთო მამის სასარგებლოდ უნდა დამთავრდეს, მაგრამ... საქმეში ულმობელი ბუნება ჩაერია — 2002-ში იუჰანსონი 72 წლისა იქნება. რას იზამ, დაგვიბერდა ძია ლენარტი! აკი, მანაც იგრძნო, რომ კარიერის დასასრულს უახლოვდება და, ამას წინათ, საჯაროდ განაცხადა, რომ ფეხბურთიდან წასვლას აპირებს.

საფეხბურთო სამყაროში წონის მიხედვით ბლატერის მეტოქედ შეიძლება მოგვევლინონ კამერუნელი ისა ჰაიატუ და კორეელი მონ ჩჟუნ ჩუნი. არ არის გამორიცხული, რომ ორივე გაერთიანდეს ბლატერის წინააღმდეგ.

და მაინც, საქმე იქითკენ მიდის, რომ ბლატერს ყველაზე მეტად „კაიზერ ფრანცის" უნდა ეშინოდეს. როცა, ამას წინათ, ბეკენბაუერს ფიფას პრეზიდენტობაზე ჩამოუგდეს სიტყვა, მან ჩვეული დიპლომატობით განაცხადა: „დიდი პატივია, თუკი ამ თანამდებობაზე ჩემს არჩევას უჭერენ მხარს. დღეს არაფრის თქმა არ შემიძლია, რა ვიცი, რა მოხდება ორი წლის შემდეგ. ერთადერთი, ჩემთვის ისაა ცნობილი, რომ ჩემს კანდიდატურას იუჰანსონიც ემხრობა. მაგრამ ყველას ვთხოვდი ირგვლივ მიმოიხედონ — ევროპაში ბევრი ღირსეული საფეხბურთო მოღვაწეა და ეგებ ისინი ჩემზე წარმატებით გაისარჯონ ამ პოსტზე".

როგორც ხედავთ, ბეკენბაუერი არ ჩქარობს, არც კატეგორიულ უარს ამბობს, თანაც ქათინაურებს არ იშურებს ბლატერის მისამართით: „მიმაჩნია, ზეპმა კიდევ ერთი ვადით უნდა იყაროს კენჭი. ჩემი სიმპათიები მას ეკუთვნის". ამას ამბობს, მაგრამ ხომ ვიცით მისი მაქსიმალიზმი, იგი ყოველთვის ზეამოცანებისკენაა მიმართული.

ახლა, მოდით, იმაზეც ვიმსჯელოთ, რას მოიგებს საქართველო ფიფას პრეზიდენტად ბეკენბაუერის არჩევაში. ალბათ, გახსოვთ ის ინტერვიუ, რომელიც მან 1995-ში მისცა „ლელოს" კორესპონდენტს. მაშინ ნიურნბერგში გერმანია-საქართველოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე „კაიზერ ფრანცმა" ერთობ უცნაური პოზიცია დაიჭირა „პატარა ქვეყნების" მიმართ. — წადით, ტოლი ნახეთ, თქვენისთანა სუსტ ნაკრებებთან თამაში ჩვენი გუნდისთვის სიკეთის მომტანი არ იქნებაო. ასე ფიქრობდა ბეკენბაუერი 5 წლის წინათ, რამდენად განიცადა ამ აზრმა ევოლუცია შემდგომში, არავინ იცის. ამიტომ „პატარა ქვეყნები" ფრთხილად უნდა ვიყოთ — საქმე შეიძლება იქითკენ წავიდეს, რომ მხოლოდ მეორეხარისხოვან ტურნირებში თუ მიგვალებინებენ მონაწილეობას.

ჩამოაგდებს ფრანცი ზეპს ოლიმპიდან? აი კითხვა, რომელიც ორი წლის განმავლობაში დაუკარგავს მოსვენებას საფეხბურთო სამყაროს.

**ჯემალ ჭიკაშვილი**



# ჯოვანი ტრაპატონი: მე საკი არა ვარ და ქართველებს ილუზიებს ანკონაშივე გავუქრობ

**როგორც იცით, იტალიის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის სახელგანთქმული ჯოვანი ტრაპატონი მოამზადებს. ქართველები აპენინელებს 11 ოქტომბერს ანკონაში შეხვდებიან და, ცხადია, ყველას გვაინტერესებს, თუ რას ფიქრობს მომავალი ორთაბრძოლის შესახებ იტალიელთა თავკაცი. თუმცა, სანამ ამ თემას შეეხებოდა, „ტრაპიმ" ზოგადად ილაპარაკა ევროპის მერვე შესარჩევი ჯგუფის მეტოქეთა შანსებზე. ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუ ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა.**

***• როგორი განწყობით ხვდებით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს?***

— გულახდილად გეტყვით, სანამ „სკუადრა აძურას" მთავარ მწვრთნელად დამნიშნავდნენ, ჩვენი გუნდის სათამაშო კალენდრისთვის ყურადღება არც მიმიქცევია, მაგრამ მერე საქმის ვითარებას რომ გავეცანი, ცოტა არ იყოს, შევცბი. ევრო-2000-ის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ძლიერ გადაღლილნი არიან, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. იტალიის სერია A-ს ჩემპიონატი რომ ჩვეულზე გვიან, 1 ოქტომბერს დაიწყება, კარგია, ვინაიდან ფეხბურთელები დასვენებას მოასწრებენ, მაგრამ...

***• მივიხვდით, ნაკრებს პირველი მატჩი უკვე სექტემბერში აქვს ჩასატარებელი.***

— დიახ, ასეა. პირველი თამაში 2 სექტემბერს გვიწევს უნგრეთის ნაკრებთან, ბუდაპეშტში. ეს ჩვენთვის არახელსაყრელია. ფეხბურთელები არ იქნებიან სათანადოდ მომზადებულები. ამ დროს უნგრეთში დიდი სიცხეები იცის და, ალბათ, იქ თამაში გაგვიჭირდება. მით უმეტეს, ეს მატჩი ჩვენთვის პირველი იქნება და ტრადიციულად „სკუადრა აძურა" ყველა ტურნირს ძნელად იწყებს.

***• ოქტომბერში შინ ორი მატჩი გიწევთ...***

— ჯერ რუმინეთს ვიღებთ, ოთხ დღეში კი — საქართველოს. დიდი სურვილი მაქვს სტარტზევე ქულათა მაქსიმუმი მოვაგროვოთ. თუ ასე მოხდა, ჩათვალეთ, საქმის ნახევარი უკვე გაკეთებული იქნება. ნაკრების ბაზაზე, კოვერჩიანოში, დიდ ყურადღებას მივაქცევთ გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებას.

***• უპირველეს მეტოქედ რუმინეთი გესახებათ?***

— რუმინეთი მართლაც რომ ჯგუფის ფავორიტია. ენეის ძლიერი გუნდი ჰყავს და ამის დასტური თუნდაც ევრო-2000-ზე მისი გამოსვლაა. ბედის ირონიაა, მაშინაც, მეოთხედფინალში რუმინელებს გადავეყარეთ. კიდევ კარგი, ჩემმა წინამორბედმა დინო ძოფმა ჰკუით აჯობა ენეის. ახლაც, ალბათ, რუმინელები იგივე ტაქტიკური სქემით ითამაშებენ, ვინაიდან ჰაჯი და პეტრესკუ ნაკრებიდან წავიდნენ და მათ შემცვლელებს მალე ვერ იპოვნიან. იტალიასთან მატჩი ჰაჯიმ წააგო, თუმცა, უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, თამაში იტალიამ მოიგო. ძოფმა სწორი ტაქტიკა აირჩია, როცა რუმინელებთან გუნდი კონტრშეტევებზე ათამაშა. ამიტომ ვაფასებ დინოს, მან კარგად იცის, როგორ უნდა მოიგოს თამაში. ახლაც, რუმინეთთან ძალების მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. თუ ბალკანელებთან ორივე მატჩში ოთხი ქულა ავიღეთ, ჩათვალეთ, მუნდიალი-2002-ზე ვართ.

***• რუმინელების გარდა სხვა მეტოქე არ გაშინებთ?***

— უხერხულ მეტოქედ მივიჩნევ უნგრეთის ნაკრებს: ჯერ ერთი, შესარჩევ ციკლს ბუდაპეშტში ვიწყებთ და, გავიმეორებ, ყოველთვის გვიჭირს ტურნირის დასაწყისში თამაში, მერე ის, რომ უნგრულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები გააჩნია. უნგრელებისაგან ველით შეტევით ფეხბურთს და, ალბათ, იმასაც იფიქრებენ, იტალიელები გადაღლილები არიან და კარგად მომზადებას ვერ მოახერხებენო. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ კოვერჩიანოში, სანამ უნგრეთს გავემგზავრებით, ფეხბურთელები გაივლიან ტესტირებას და ნაკრებში მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვინც იმ მომენტისათვის იქნება საუკეთესო მზადყოფნაში.

***• გვრჩება საქართველო და ლიტვა. ამ გუნდებს ჯგუფის აუტსაიდერებად მიიჩნევთ?***

— საქართველოს ნაკრების შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ გუნდმა არიგო საკი იმსხვერპლა, მიუხედავად იმისა, რომ პერუჯაში იტალიელებმა მატჩი მოიგეს. დღევანდელ ნაკრებში არიან ფეხბურთელები, ვთქვათ მალდინი, კონტე, დი ლივიო, რომლებმაც მაშინ თავის თავზე გამოსცადეს ქართველების სიძლიერე. ისინი, ალბათ ინფორმაციას არ მომაკლებენ. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ჩვენი ორთაბრძოლა უშედავათო იქნება — ორ მატჩში იტალიამ ერთში გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით და ერთხელაც, თბილისში, ფრეს დავჯერდით. მე საკი არა ვარ და ქართველებს ილუზიებს ანკონაშივე გავუქრობ. რაც შეეხება ლიტვის ნაკრებს, იგი ჩემთვის უცნობია და ამიტომ ყველას, ვისაც კი ეს ევალება, მეტოქეზე მასალების შეგროვება დავავალე. დაე, ყველამ დაიმახსოვროს, ჩემს ხელში იტალია ყოველთვის გამარჯვებისათვის იბრძოლებს.

მოამზადა
**ჯემალ ჭიკაშვილმა**

# ლუიშ ფიგუ: „მე ჩოგბურთის ბურთი ვარ“

ევროპის ჩემპიონატზე და სხვადასხვა საფეხბურთო პრობლემებზე აზრი გამოთქვა გამოჩენილმა პორტუგალიელმა ოსტატმა ლუიშ ფიგუმ.

აი, როგორ შეაფასა მან საკუთარი ნაკრების გამოსვლა:

— წინ ის ნაკრები მიიწევს, რომელსაც ნაკლები შეცდომა მოსდის. შეიძლება სულ მცირე შეცდომაც კი მეტად ძვირად დაგიჯდეს. ეს ჩვენ საკუთარ ტყავზე ჯერ კიდევ 1996 წელს განვიცადეთ, როცა არავინ ელოდა ჩვენს დამარცხებას ჩეხებთან. ახლა ორჯერ უფრო მეტად კონცენტრირებული ვიყავით, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი მთავარი მიზნის მისაღწევად. მე ძალზე შორსა ვარ იმ ეიფორიისაგან, რომელიც პორტუგალიაში გავრცელდა ჩვენი ნაკრების ევროპის პირველობაში გამოსვლაზე 1991 წლის შემდეგ, როცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ვიყავით ჭაბუკთა შორის, ჩვენ არავითარი მიღწევა არა გვქონია. ვერც ახლა შევძელით ჩვენი შესაძლებლობების გამოყენება.

როცა ჩემს თამაშს აქებენ, ამის მოსმენა ყოველთვის სასიამოვნოა, კარგ გუნებაზე მაყენებს, მით უმეტეს, როცა ამას კოლეგები და მწვრთნელები ამბობენ, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ნაკრების წარმატებები. ევრო-2000 მხოლოდ ერთი ფიგუს ჩემპიონატი არ იყო, არამედ მთელი პორტუგალიის ჩემპიონატი გახლდათ.



ევრო-2000. ლუიშ ფიგუს (№7) გამოზომილი გადაცემის შემდეგ ნუნუ გომეშმა თურქთა კარი დალაშქრა.

ფიგუს ჰკითხეს, რას ფიქრობს იგი 2000 წლის შედეგებით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად არჩევის შესახებ.

— მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად არჩევა ორმოცდაათი ან ასი ადამიანის მიერ, ეს, რა თქმა უნდა, თითოეული მოთამაშისათვის პრესტიჟულია, მაგრამ ფეხბურთისათვის, როგორც მსოფლიო მოვლენისათვის, არც ისე მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს ნაკრების პარტნიორების ალიარებას, შემდეგ კი გულშემატკივრებისა და პრესისა.

ძალიან ხშირად თამაშის დღესაც კი არ ვიცი, რომელ ფრთაზე გამოვალ, მარცხნივ თუ მარჯვნივ. ისე კი, ამ მხრივ დიდ დისკომფორტს არ განვიცდი, რადგან ყოველთვის მზად ვარ იმ პოზიციაზე ვიყო სასარგებლო გუნდისათვის, რომელიც მას სჭირდება.

● ***ვინ არიან ყველაზე უკეთესი ფეხბურთელები?***

— მე უდიდეს პატივს ვცემ დევიდ ბექჰემს, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე თამაშობს. არ შემიძლია აღტაცება არ გამოვთქვა საფრანგეთის ნაკრების ლიდერ ზიდანის თამაშით. თუმცა ეს ხომ მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია — კარგი ფეხბურთელები გაცილებით მეტნი არიან.

● ***„საკლუბო მომავალზე“ რას იტყვით?***

— გადასვლის ყველა საკითხს ჩემი აგენტი აგვარებს. პირადად ჩემი სურვილია დავრჩე „ბარსელონაში“, სადაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ჩემი ოჯახიც ბედნიერია. სამწუხაროდ, ამ მომენტში ჩოგბურთის ბურთის მდგომარეობაში ვარ, რომელსაც ბადეზე გადაისვრიან ხოლმე. მე მინდა გავიგო, რა ბედი მელის, მივდივარ ექს-პრეზიდენტ ნუნიესთან, იგი სხვებთან მაგზავნის, ისინი კი ნუნიესთან უკან მაბრუნებენ. არ ვიცი, როდის დამთავრდება ეს ამბავი.

**ფიგუს შესახებ:**

**ვისენტე დელ ბოსკე** (მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი): მე არ მიყვარს ამორჩევა, როცა ლაპარაკია, ვინ არის გუნდის, ტურნირისა თუ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე. ახლა მაინც გავაკეთებ არჩევანს ფიგუს სასარგებლოდ, რომლის მოქმედება ყოველთვის მუქარას უქმნის მეტოქის კარს, მისი დრიბლინგი კი აღტაცებას იწვევს.

**ხავიერ ირურეტა** („ლა-კორუნიას“ მწვრთნელი): „ერთი-ერთზე“ თამაშისას ფიგუ საერთოდ შეუდარებელია, ძალიან სახიფათოა საჯარიმო მოედნის ახლოს, თუ კი სათანადო ყურადღებას არ დაუთმობ და მჭიდროდ არ ეთამაშები, მეტოქის დაცვა შავ დღეში აღმოჩნდება. მისი გადაცემები სანტიმეტრებამდეა გამოთვლილი, როცა ისინი სრულიად ზუსტია, უფრო ძნელია, გოლი არ გაიტანო, ვიდრე გაიტანო. ნუნუ გომეშს ევროპის პირველობაზე ძირითადად ფიგუს გამო ჰქონდა წარმატება.

**უმბერტუ კოელიუ** (პორტუგალიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი): ფიგუს აქვს ყველაფერი, რაც უნდა ჰქონდეს მისი ამპლუის მოთამაშეს. ერთადერთი, რასაც მატჩების წინ ვთხოვდი: თავისი თამაშით ნაკრების სხვა ფეხბურთელებისთვის მაგალითი ეჩვენებინა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „6 წამი? – ძალიან კარგი წესია“

ევროპის პირველობიდან მოყოლებული, ძალაში შევიდა ახალი წესი, როცა მეკარეს ბურთი ხელში შეიძლება მხოლოდ 6 წამი ეჭიროს. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ ახალი წესის შესახებ თვით მეკარეები?

გერმანიის ნაკრების მეკარე ***ოლივერ კანს*** მოსწონს ეს სიახლე: „ექვსი წამი დიდი დროა. მეკარისათვის ეს წესი უკეთესია. ვიდრე ოთხი ნაბიჯის“.

ასევე დადებითი აზრი გამოთქვა საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზმა: „იგი ძალიან მომწონს. ამ 6 წამის განმავლობაში შემიძლია „მოვჭრა“ მეტოქის 4-5 მოთამაშე და გუნდის სწრაფი კონტრიერიში წამოვიწყო.“

## წოდებების კოლექციონერი

**29 წლის კრისტიან კარამბე, წარმოშობით ახალი კალედონიიდან, ფოტომოდელ ადრიანა სკლენარჟიკოვას მეუღლე, არც მადრიდის „რეალის“ ძირითადი ნახევარმცველია და არც საფრანგეთის ნაკრებისა, მაგრამ ამდენი წოდება მაინც მსოფლიოში არც ერთ ფეხბურთელს არ მოუპოვებია.**

**იგი მსოფლიო ჩემპიონია (1998), რასაც ახლა ევროპის ჩემპიონის წოდებაც დაუმატა. ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, იყო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელიც, მიიღო „ოქროს ბურთი“, როგორც ოკეანიის საუკეთესო ფეხბურთელმა. იყო ესპანეთის ჩემპიონი, ახლა კი „მიდლსბროში“ გადადის იმ განზრახვით, რომ ინგლისის ჩემპიონი გახდეს.**



## იუგოსლავიის ნაკრებში აღმოჩნდა... „ანჟის“ გზით

მართლაცდა, უცნაურია — პრედრაგ რანჯელოვიჩს იუგოსლავიაში არავინ იცნობდა, ახლა კი, ეროვნულ ნაკრებში ეპატიჟებიან.

ასეთი სახელი მას შეუქმნა... მახაჩყალის „ანჟიში“ თამაშმა. სულ მოკლე დროში პრედრაგ რანჯელოვიჩმა რუსეთის ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა და ამით იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელობის ყურადღებაც მიიპყრო.

## სიძლიერით მესამე გოლკიპერი

ლევერკუზენის „ბაიერმა“, რომელიც საიმედო მეკარის უყოლობას უჩიოდა, „ჰამბურგერ შპორტფერაინისაგან“ 7,7 მილიონ დოლარად შეიძინა ჰანს-იორგ ბუტი.

ბუტი, პენალტების გატანისა და აღების სპეციალისტი, გერმანიაში სიძლიერით მესამე მეკარედ ითვლება კანისა და ლემანის შემდეგ.

## სტოიკოვიჩი ბოშკოვის ნაცვლად?

**როგორც იუგოსლავური პრესა იუწყება, ვეტერანი ნახევარმცველი დრაგან სტოიკოვიჩი უახლოეს ხანებში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვლის ვუიადინ ბოშკოვს.**

**ბოშკოვს კი იმედი ჰქონდა, რომ თავის თანამდებობას 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე შეინარჩუნებდა.**

## ბარნსიც და დალგლიშიც

გლაზგოს „სელტიკმა“, რომელსაც აშკარად ჩაუვარდა სეზონი, მთელი ხელმძღვანელობის გადახალისება გადაწყვიტა.

მთავარ მწვრთნელ ჯონ ბარნსის განთავისუფლებასთან ერთად გამოცხადდა, რომ თანამდებობა დატოვა კლუბის დირექტორმა კენი დალგლიშმაც.

## არავითარი ბესჩასტნიხი

**მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ გააფორმებდა კონტრაქტს ცნობილ თავდამსხმელ ვლადიმირ ბესჩასტნიხთან, რომელიც ახლა სანტანდერის „რასინგის“ საკუთრებაა. ბესჩასტნიხი თანახმა იყო, მაგრამ თვით „რასინგში“ მდგომარეობა შეიცვალა. მოხსნეს მწვრთნელი გუსტავო ბენიტესი, რომელთანაც რუს ფეხბურთელს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. კლუბმა გაყიდა ცნობილი თავდამსხმელები სალვა და მუნიტესი, ისე, რომ ბესჩასტნიხთან გამოთხოვებას „რასინგის“ ახალი ხელმძღვანელობა უკვე აღარ აპირებს.**

## ჩილე და არგენტინა „შეამხანაგდებიან“

ჩილესა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციების ერთობლივი განცხადებით, ეს ქვეყნები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარების ინიციატივით გამოდიან.

ისინი თავიანთ წინადადებას იმით ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ამ კონტინენტზე 1978 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა. ჩემპიონატის გახსნის მატჩი ჩილეს დედაქალაქ „სანტიაგოში“ უნდა გაიმართოს, ფინალური შეხვედრა კი ბუენოს-აირესში. ამ ჩემპიონატის ჩატარება ბრაზილიასაც სურს და აფრიკულ ქვეყნებსაც.

## ზახოვიჩი – 10 მილიონად

**მიმდინარეობს მოლაპარაკება პირეოსის „ოლიმპიაკოსსა“ და „ვალენსიას“ შორის სლოვენიის საუკეთესო ფეხბურთელ ზლატკო ზახოვიჩის შესახებ. „ოლიმპიაკოსი“ დათანხმდა ზახოვიჩი გაყიდოს 10 მილიონ დოლარად.**

## ფრანგ ფეხბურთელებს პირდაპირ იტაცებენ

ახლა ფრანგ ფეხბურთელებს ევროპის პირველობის შემდეგ სხვადასხვა კლუბები პირდაპირ იტაცებენ.

ოლივიე დაკური, რომელიც თავის დროზე „ევერტონში“ თამაშობდა, დაბრუნდა ინგლისში და „ლიდს იუნ[აიტედში]“ გამოვა, კლუბმა ფრანგ ფეხბურთელში 11,5 მილიონი დოლარი [გა]დაიხადა.

„ლივერპულმა“ 5 მილიონ დოლარად შეიძინა ნახევარმცველი ბერნარ დიომედი.

განთქმული დავიდ ჟინოლა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურიდან“ ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ გადავიდა.

## ვერონი ვერ გაიტალიელდა

გამოჩენილმა არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა, რომელიც „ლაციოში“ თამაშობს, უკვე ნახევარი წელია თხოვნით მიმართა იტალიის ხელისუფლებას მიეცათ ამ ქვეყნის მოქალაქის პასპორტი.

როგორც სასამართლოს აღმასრულებელმა სილვერო პირომ თქვა, ვერონის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ბევრი უზუსტობა და შეუსაბამობაა, რის გამოც თხოვნაზე უარი ეთქვა.

ფეხბურთელი არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და მას უმაღლეს ინსტანციებში გაასაჩივრებს.

## ზდენეკ ზემანი ძლიერ „ნაპოლის“ ქმნის

**ცნობილი ჩეხი სპეციალისტი ზდენეკ ზემანი, რომელიც ადრე „ლაციოსა“ და „რომას“ ედგა სათავეში, ახლა „სერია A“-ში დაბრუნებულ „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. „ნაპოლის“ თანხები არ უჭირს, ამიტომ ამ კლუბში უკვე გადავიდნენ ნიკოლა ამორუზო ტურინის „იუვენტუსიდან“, ფრანჩესკო მორიერო და სალვატორე ფრეზი მილანის „ინტერიდან“. ახლა „ნაპოლიმ“ 10 მილიონი იტალიური ლირა (ანუ 4,9 მილიონი დოლარი) შესთავაზა პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ ნიჭიერ ნახევარმცველ ხოსე ლუის ვიდიგალს.**

## შეთქმულების ზოგიერთი დეტალი

გერმანულ პრესაში გაჩნდა მასალები იმის შესახებ, რომ ევროპის პირველობის წინ დიდი არეულობა იყო ეროვნულ ნაკრებში და ამან კიდევაც იმოქმედა გუნდის შედეგზე.

მაშინ, როცა ნაკრები ჩემპიონატზე გამგზავრებამდე მაიორკაში იმყოფებოდა, იქ ნამდვილი „პუტჩი“ დაიწყო. ფეხბურთელების დიდმა ჯგუფმა, ძირითადად მიუნხენის „ბაიერნისა“ და ლევერკუზენის „ბაიერიდან“, რომლებსაც გერმანიის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი აგულიანებდა, მწვრთნელ ერიხ რიბეკის დამხობა დააპირა და მისი ლოთარ მათეუსით შეცვლა, იმ მიზნით რომ ვეტერანს ამით დაემთავრებინა თავისი კარიერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მოთამაშეები ირწმუნებოდნენ, ნაკრები წინასწარ ტურნირში მარცხს განიცდიდა. ასეც მოხდა.

## „შინ დარჩენა ვისაც სურს, სჯობს სახლმმართველად იმუშაოს“

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ცნობილმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ განაცხადა, რომ არ აჩერებდა და არც ახლა გააჩერებს არც ერთ ფეხბურთელს, რომელსაც სხვა კლუბებში გადასვლა სურს და საერთოდ ეს პროცესი სრულიად ბუნებრივია, ხელი არ უნდა შეუშალოს.

— როგორც ამბობდა თავის დროზე კონსტანტინ ბესკოვი, როცა ყოველთვის სახლში ყოფნა გსურს, სჯობს სახლმმართველად იმუშაო.

## ყველაზე ხნიერი 38 წლისაა

**ამჟამად რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ყველაზე ხანდაზმული მოთამაშეა 38 წლის გარნიკ ავალიანი. სომეხი ფეხბურთელი კარგა ხანს გამოდიოდა სამარის „კრილია სოვეტოვში“. ახლა კი ურიგო შედეგები არა აქვს ელისტის „ურალანში“, თუმცა თვით გუნდი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.**

## საკმაოდ სწრაფად გამოჯანმრთელდა

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ თავდამსხმელ რუუდ ვან ნისტელროის გამოჯანმრთელების პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ამას ადრე მოელოდნენ.

რუუდ ვან ნისტელროი ფიქრობს, რომ უკვე ერთ თვეში დაუბრუნდება საწვრთნელ მინდორს.

UEFA UNDER-18 Championship

## ევროპის ჩემპიონატი 18 წლამდე ფეხბურთელთა შორის

# უკრაინა ფინალში?

გერმანიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეროვნულ ნაკრებთა ავტორიტეტი ჭაბუკთა შორის არაფერს ნიშნავს, აქ სხვა ფაქტორები მოქმედებს და არც სენსაციებია იშვიათი. პირველ ტურში ფინელებმა ევროპის ჩემპიონების მემკვიდრეებს „აუგეს წესი" და ფრანგი თანატოლები 2-1 დაამარცხეს, შეჯიბრების დებიუტანტებმა უკრაინელებმა სულაც მასპინძლები გააწბილეს და 1-0 მოუგეს. საყურადღებო შედეგები მეორე ტურშიც აღინიშნა. უკრაინელებმა მოძმე სლავებს — ხორვატებს სძლიეს 2-1 და აშკარა ფავორიტებად მოგვევლინენ: საკმარისია ბელორუსებმა მესამე ტურში ჰოლანდიელებთან ფრეს მიაღწიონ, რომ ისინი ფინალში გავლენ.

მეორე ჯგუფში უფრო რთული ვითარებაა. რუსებმა ორივე შეხვედრა ფრედ 1-1 ითამაშეს, ფრანგებმა კინკილა გოლით ჩეხებს მოუგეს და თითო მოგებითა და წაგებით მეორეზე არიან. პირველი ფინეთია: პირველ ტურში ფრანგებთან მოგებას ჩრდილოელებმა მეორე ტურში ერთიც მიათვალეს და ჯგუფში ლიდერობენ. მესამე ტური დღეს გაიმართება და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

გთავაზობთ ტურნირის სრულ შედეგებს:

### I ტური

**გერმანია — უკრაინა 0-1**
**ჰოლანდია — ხორვატია 3-0**
**ჩეხეთი — რუსეთი 1-1**
**საფრანგეთი — ფინეთი 1-2**

### II ტური

**გერმანია — ჰოლანდია 3-0**
**უკრაინა — ხორვატია 2-1**
**ჩეხეთი — საფრანგეთი 0-1**
**რუსეთი — ფინეთი 1-1**

### A ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები

**შამქირი (აზერბაიჯანი)** — სკონტო 4-1 დ.დ. (1-2)
1-0 კვარაცხელია (2), 1-1 სამუსევასი (3-0), 2-1, 3-1 კვარაცხელია (90, 100), 4-1 კულიკოვი (110).
**ზიმბრუ (მოლდოვა)** — ტირანა (ალბანეთი) 3-2 (3-2)
1-0 ოპრია (7), 1-1 რეზარტი (10), 1-2 კენესეი (23), 2-2 ოპრია (31), 3-2 ბორეცი (75).
**ბატე (ბელარუსი)** — შირაქი (სომხეთი) 2-1 (1-1)
1-0 როგოჟკინი (17), 2-0 ლოშენკოვი (58), 2-1 ტაკმაზიანი (73).
**ლევადია (ესტონეთი)** — ლანსანტფრაიდი (უელსი) 4-0 (2-2)
კრომი (45), ფენინი (58), ცელნოკოვი (60), ედუარდსი (65 ს.კ.).
ბროტნიო (ბოსნია) — **ჟალგირისი (ლიტვა)** 3-0 (0-4)
კატიჩი (32, 41-პენ.), იურიჩიჩი (39).
**ლევსკი (ბულგარეთი)** — დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 2-0 (4-0)
ივანოვი (35, 53-პენ).
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — **ჰაკა (ფინეთი)** 2-1 (0-1)
1-0, 2-0 ფერგიუსონი (21, პენ. 74), 2-1 კოვაჩი (88, პენ.)
**შელბურნი (ირლანდია)** — სლობა (მაკედონია) 1-1 (1-0
1-0 ჰეილოკი (67), 1-1 ნუიჯი (81-პენ.).
**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** — კლაკსვიკერი (ფარერები) 2-0 (3-0)
ბოშკოვიჩი (10, პენ.) დრულიჩი (16).

## ლელოს კომენტარი

**თავდაპირველად ბელგრადში ჩატარებული მატჩის შესახებ. დიდი მარჩიელობა არ იყო საჭირო, რომ იუგოსლავიელები შემდეგ წრეში გავიდოდნენ და ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქედ მოგვევლინებოდნენ. მატჩის შემდეგ „ცრვენა ზვეზდას" მთავარმა მწვრთნელმა სლავოლუბ მუსლინმა თქვა: „იოლად გავიმარჯვეთ. ახლა ქუთაისელებთან სათამაშოდ მოვემზადებით. ვიცით, რომ „ტორპედო" დღევანდელ მეტოქეზე უფრო ძლიერი გუნდია, თუმცა დარწმუნებული ვართ ამ ბარიერსაც გადავლახავთ. 26 ივლისს ჩვენი გუნდი გარან ბუნიევჩევიჩითაც გაძლიერდება — ევრო-2000-ის შემდეგ „ცრვენა ზვეზდას" კაპიტანს დასვენების საშუალება მივეცით." როგორც ვიტყობინებოდით, ამ შეხვედრაზე მეტოქის დასაზვერად ჩასული იყო „ტორპედოს" თავკაცი დავით ყიფიანი. აშკარაა, რომ იუგებმა მის წინაშე მთელი თავისი კოზირების გამჟღავნება არ ისურვეს და მაინც, იმედია, ყიფიანს მეტოქეზე რაღაც წარმოდგენა შეექმნა და მომავალი ორთაბრძოლისთვის გამართლებულ ტაქტიკასაც შეარჩევს.**
**სხვა წყვილებიდან გამოვყოფდით აზერბაიჯანის ჩემპიონის წარმატებას. ამაში ლომის წილი ქართველმა ლეგიონერმა ბადრი კვარაცხელიამ დაიდო, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.**
**ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი მატჩები 26 ივლისს და 2 აგვისტოს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან:**
**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)**
**ჰაკა (ფინეთი) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)**
**ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ბატე (ბელარუსი)**
**დინამო (ბუქ. რუმინეთი) — პოლონია (პოლონეთი)**
**შელბურნი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)**
**ბეშიქთაში (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)**
**შტურმი (ავსტრია) — ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი)**
**ზიმბრუ (მოლდოვა) — მარიბორი (სლოვენია)**
**სლავია (ჩეხეთი) — შამქირი (აზერბაიჯანი)**
**ანდერლეხტი (ბელგია) — ანორთოსისი (კვიპროსი)**
**შახტარი (უკრაინა) — ლევადია (ესტონეთი)**
**რეინჯერსი (შოტლანდია) — ჟალგირისი (ლიტვა)**
**ბრონდბიუ (დანია) — რეიკიავიკი (ისლანდია)**
**ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) — დუნაფერი (უნგრეთი)**



### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

# სამხრეთ ამერიკა ● V ტური

**პარაგვაი — ბრაზილია 2-1**
1-0 პარედესი (6), 1-1 რივალდო (74), 2-1 ხორხე კამპოსი (83).
**ურუგვაი — ვენესუელა 3-1**
0-1 ნორიეგა (23), 1-1 ოლივერა (30), 2-1 როდრიგესი (53), 3-1 ოლივერა (90).
**არგენტინა — ეკვადორი 2-0**
1-0 კრესპო, 2-0 ლოპესი.
**პერუ — კოლუმბია 0-1**
**ბოლივია — ჩილე 1-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | **5** | **5** | **0** | **0** | **14-2** | **15** |
| **ურუგვაი** | **5** | **3** | **1** | **1** | **7-4** | **10** |
| **პარაგვაი** | **5** | **3** | **0** | **2** | **7-7** | **9** |
| **კოლუმბია** | **5** | **2** | **2** | **1** | **6-4** | **8** |
| **ბრაზილია** | **5** | **2** | **2** | **1** | **6-5** | **8** |
| ეკვადორი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| პერუ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| ბოლივია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| ჩილე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| ვენესუელა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |

## ნადი ვანდერლეი, ნადი!

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიელები შინ არასდროს დამარცხებულან, ხოლო სტუმრად ერთადერთხელ დამარცხდნენ — ბოლივიელებთან შვიდი წლის წინათ. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ წინა, მეოთხე ტურში დაირღვა, როცა „ტეტრაკამპეონები" ურუგვაელებს მასპინძლობდნენ. მატჩის დასაწყისში სტუმრები დაწინაურდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებში იხსნა რივალდომ თავისიანები მარცხისაგან. მათი უსუსური თამაშით გახევებულმა სპორტულმა მასმედიამ, მაშინ ვანდერლეი ლუქსემბურგოს ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყო. იმასაც ამბობდნენ, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის მესვეურებმა სასწრაფოდ დაიწყეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შემცვლელის ძებნაო. პრესაში დასახელდნენ კიდეც კანდიდატურები, თუმცა მერე თანდათან ვნებები ჩაცხრა და ნათელი იყო, რომ ყველა მომდევნო თამაშის შედეგს ელოდა. ეს დღეც მოვიდა და... კვლავ გაწბილება! ახლა უკვე ნათელია, რომ ლუქსემბურგოს ბედი გადაწყვეტილია.

წინა მატჩისა არ იყოს, ბრაზილიელებმა ასუნსიონშიც პირველებმა გაუშვეს გოლი და, რაც ყველაზე საყურადღებოა, მათთვის, კვლავ საბედისწერო გამოდგა მე-6 წუთი. მერე ისევ რივალდომ ივაჟკაცა და ყველაფერი იქეთკენ მიდიოდა, რომ მატჩში მორიგი ფრე დაფიქსირდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ფეხბურთელებიც შეეგუენ ამ შედეგს და ვალის მოხდის მიზნით ამთავრებდნენ მატჩს. მაგრამ ასე არ ფიქრობდა პარაგვაელთა სახელგანთქმული მეკარე ლუის ჩილავერტი: თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მან საკუთარი საჯარიმოდან (!) მშვენიერი საგოლე გადაცემით შეცვლაზე შემოსულ ხორხე კამპოს შესაძლებლობა მისცა წარმატებით დაელაშქრა მეტოქის კარი.

არგენტინა-ეკვადორის მატჩი რომ დაიწყო, იქ უკვე იცოდნენ ბრაზილიელთა მარცხის შესახებ, მასპინძლებს მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ, აკადემიური სტილით სძლიეს მეტოქეს და სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი განდი-კაპი შეიქმნეს.



*პარაგვაელთა სახელგანთქმული მეკარის ლუის ჩილავერტის (მარცხნივ) სიხარულს საზღვარი არა აქვს — მისი გადაცემით გაიდა გამარჯვების გოლი ბრაზილიელთა კარში.*

## „ბაზა" კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა

თავშეუკავებელი ***პოლ გასკოინის*** სახელი კვლავ გამოჩნდა პრესის ფურცლებზე. ამჯერად მისი ახალი ფათერაკის გამო არა, მიზეზი უფრო ტრივიალურია — მან კლუბი გამოიცვალა. „გაზას" პრემიერლიგის „მიდლსბროსთან" კონტრაქტი უკვე ორი თვეა გაუთავდა და მან თავისუფალი აგენტის სტატუსით „ევერტონს" მიაშურა. იტყობინებიან, რომ ფეხბურთელის ახალი კონტრაქტი ორწლიანია, რის თანახმადაც იგი კვირაში 33 ათას დოლარს მიიღებს.

## „რეალის" შემდეგ „ბარსაშიც" არჩევნების ციებ-ცხელებაა

თხა თხაზე ნაკლებიო, სამეფო კლუბის შემდეგ საარჩევნო ციებ-ცხელება კატალონიურ „ბარსელონასაც" შეეყარა. კლუბის პრეზიდენტობიდან გადამდგარი, ჭირვეული ნუნიესის სავარძელს ძირითადში ორი ღირსეული მეტოქე ეცილება ერთმანეთს. წინასწარი გამოკითხვით, 23 ივლისის არჩევნებში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსები აქვს კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ***ხუან გასპარს***. მისი მეტოქე ***ლუის ბასატი*** კი გულშემატკივრებს პირდება მართლაც რომ საშურ საქმეს — გამარჯვების შემთხვევაში „იუვენტუსიდან" ზინედინ ზიდანს ჩამოვიყვანო. გასპარი, თავის მხრივ, გულშემატკივრებს მოუწოდებს გონიერებისაკენ — ბასატი ცრუობს, ზიდანის ჩამომყვანი მაგ კაცი არ არისო.

# ერნან კრესპო და მისი მილიონები

***ახლა, როცა ერნან კრესპო მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, გულშემატკივრები გვთხოვენ გავაცნოთ ამ შესანიშნავი თავდამსხმელის მოკლე თავგადასავალი. კრესპო 25 წლის გახდა, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი რამ მოასწრო.***

ერნან ხორხე კრესპო, რომელსაც არგენტინელი გულშემატკივრები სიყვარულით „ვალდანიტოს" (პატარა ვალდანოს) ეძახიან, დაიბადა 1975 წლის 5 ივლისს, ბუენოს-აირესის გარეუბან ფლორიდაში. 184 სმ სიმაღლისაა და 80 კგ იწონის.

ფეხბურთს კრესპო 6 წლის ასაკიდან თამაშობს. სწორედ ამ ასაკისა იყო, როცა „რივერ პლეიტის" ბავშვთა სკოლაში მიიყვანეს. 1994 წელს, 18 წლის ასაკში დებიუტი ჰქონდა ამ კლუბში „დეპორტივო მანდიიუს" წინააღმდეგ. ძალიან მალე მოიპოვა არგენტინელი გულშემატკივრების სიყვარული და ისეთი პირქუში და გაუცინარი სპეციალისტის აღიარება, როგორიც დანიელ პასარელაა (მაშინ იგი „რივერ პლეიტს" ედგა სათავეში). სწორედ მაშინ დაარქვეს ახალგაზრდა თავდამსხმელს „ვალდანიტო" — განთქმულ ხორხე ვალდანოსთან გარეგნული მსგავსების გამო. საინტერესოა, რომ პასარელამ თავისი დესპოტური ხასიათის გამო ბევრი ფეხბურთელი მოიმდურა (განსაკუთრებით კი ბატისტუტა, რომელსაც ყოველთვის კრესპოს უპირისპირებს და რედონდო), მაგრამ კრესპოს მუდამ აქებს. კრესპოც იგივეს აკეთებს: „პასარელა ჩემი მამაა ფეხბურთში.





ბევრი რამ, რაც ვიცი, სწორედ მან მასწავლა. იმ მატჩების დიდი ნაწილიც, რომელიც კრესპომ არგენტინის ნაკრებში ჩაატარა, სწორედ პასარელას მმართველობას დაემთხვა. დღეისათვის „ვალდანიტომ" არგენტინის ნაკრებში 22 მატჩი ითამაშა (8 გოლი), ოლიმპიურ ნაკრებში კი — 15 (ამდენივე გოლი).

კრესპო ორჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი, ერთხელ კოპა ლიბერტადორესს დაეუფლა, ერთხელ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა (1996), იყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონიც „რივერ პლეიტში", სულ 52 მატჩი ითამაშა და 24 გოლი გაიტანა.

1996 წელს, 21 წლის არგენტინელი 4 მილიონ დოლარად „პარმამ" იყიდა. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი იტალიური ფეხბურთის პირობებს იოლად შეურიგდა. პირიქით, არც პრესა სწყალობდა და ტიფოზებიც ძნელად შეეგუენ. მეტისმეტად შეუპოვარმა კრესპომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვა პოპულარობა. მას ხომ პირველხარისხოვანი თავდამსხმელის ყველა ღირსება აქვს: მაღალი ტექნიკა, დიდი სისწრაფე და მოქნილობა, კარის აღების ალღო, შეუძლია დრიბლინგით გასცდეს რამდენიმე მეტოქეს. იტალიაში კრესპოს მეტი გოლი გააქვს (62 116 მატჩში), ვიდრე სამშობლოში და როგორც ფიქრობენ, ამ შედეგს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. 1999-2000 წლების სეზონში მან „სერია A"-ში 21 გოლი გაიტანა. ეს მესამე შედეგია ანდრეი შევჩენკოსა და გაბრიელ ბატისტუტას შემდეგ.

ბატისტუტას კრესპო ვერც „სერია A"-ში ასცდა და ვერც არგენტინის ნაკრებში. თუ დანიელ პასარელა, ბუნებრივია, უპირატესობას თავის აღზრდილს ანიჭებდა და ბატისტუტას ლანძღვასაც არ ერიდებოდა, ახალი მწვრთნელი მარსელო ბიელსა სხვანაირად ფიქრობს. იგი თვლის, რომ წამყვანი ფიგურა თავდასხმაში, ცხადია, ბატისტუტაა, მეორე ფორვარდი კი დიდი სახელის მქონე ლოპესი უნდა იყოს თავისი შესანიშნავი ფლანგური გარღვევებით. ბატისტუტა-ლოპესი რომ შესანიშნავი დუეტია, ამას რა დიდი მტკიცება უნდა, მაგრამ რაღა ვუყოთ ისეთ თავდამსხმელს, როგორიც კრესპოა? იგი, ბიელსას აზრით, მინდორზე თამაშის მეორე ნახევარში უნდა გამოვიდეს. მსოფლიო ჩემპიონატის სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში ძირითადად სწორედ ასე ხდება.

ის ამბავი, რომ იგი „პარმამ" „ლაციოს" სარეკორდო თანხად დაუთმო და თანაც წელიწადში 4 მილიონ დოლარს მიიღებს, კრესპომ ბუენოს-აირესში გაიგო, სადაც ეკვადორის ნაკრებთან შესახვედრად ემზადებოდა.

***ერნან კრესპო:*** უბრალოდ გაოცებული ვარ, როცა მთელ მსოფლიოს ამცნობენ ჩემი გაყიდვის შესახებ, მე კი არაფერს მეუბნებიან. ამის მიუხედავად, ეს წინგადადგმული ნაბიჯი გახლავთ ჩემს კარიერაში, რადგან „პარმას" უკვე აღარ შეუძლია ჩემპიონობისათვის ბრძოლა. ერთი რამ აშკარად არ მომწონს: „პარმას" ახალი ფორმა ძალიან ჰგავს „ბოკა ხუნიორსისას" (ეს კლუბი კი კრესპოს საყვარელი „რივერ პლეიტის" ტრადიციული მოწინააღმდეგეა).

***სერჯიო კრანიოტი („ლაციოს" პრეზიდენტი):*** როცა ჩვენ ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვაში ვერთვებით, ამ საკითხს სრული სერიოზულობით ვუდგებით. აი ახლა კი გულშემატკივრებს შეუძლიათ ინტერესით ადევნონ თვალი კრესპობატისტუტას, „ლაციო" — „რომას" დაპირისპირებას.

***ალბერტო მალესანი („პარმას" მთავარი მწვრთნელი):*** იმ დანაკარგის მიუხედავად, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ჩვენი ღირსებაცაა იმაში, რომ კრესპო ასეთ არნახულ თანხად გაიყიდა. მეც ხომ მიმიძღვის წვლილი იმაში, რომ დღეს კრესპო არის ის, რაც არის.

ახლა კი გთავაზობთ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელების სიას: 1. ერნან კრესპო. „პარმადან" „ლაციოში", 2000 წელი, 55 მილიონი დოლარი. 2. კრისტიან ვიერი. „ლაციოდან" „ინტერში", 1999 წელი, 50 მილიონი. 3. ნიკოლა ანელკა. ლონდონის „არსენალიდან" მადრიდის „რეალში", 1999 წელი, 35,7 მილიონი, 4. გაბრიელ ბატისტუტა „ფიორენტინიდან" „რომაში", 2000 წელი, 35 მილიონი. 5. დენილსონი, ბრაზილიის „სან-პაულუდან" ესპანურ „ბეტისში", 1997 წელი, 35 მილიონი. 6. კრისტიან ვიერი, მადრიდის „ატლეტიკოდან" „ლაციოში", 1998 წელი, 28 მილიონი. 7. რონალდო „ბარსელონადან" „ინტერში", 1997 წელი, 27,9 მილიონი. 8. რივალდო „ლა-კორუნიადან" „ბარსელონაში, 1997, 26,7 მილიონი. 9. კლაუდიო ლოპესი „ვალენსიიდან" „ლაციოში", 2000, 26 მილიონი. 10. ანდრეი შევჩენკო კიევის „დინამოდან" „მილანში", 2000, 25 მილიონი.

# „ჩვენი პაიჭაძე ხვალ სამ ბურთს გაუტანს თქვენს ხომიჩს!

**საუბარი** ვეტერან დინამოელთან ნიკო ცაგარეიშვილთან ერთი, ყველასათვის კარგად ცნობილი, ანეკდოტით დავიწყეთ: ოჯახში სამი ვაჟი იყო – ორი ჭკვიანი, მესამე კი ფეხბურთელი“.

იქვე, უხერხულობა რომ თავიდან აგვეცილებინა, დავძინეთ – ცხადია, ეს შენ არ გეხება! ჩვენმა მოსაუბრემ გაიცინა ამ ძველ ხუმრობაზე, მერე სერიოზულად გვითხრა: ჩემი ძმები მართლაც ღირსეული ადამიანები გამოვიდნენ – უფროსი ალეკო ოთხი წლით დიდი იყო – ნიჭიერი ფინანსისტი გახლდათ, მაიორის ჩინს მიაღწია არმიაში, აი ჩემი ტყუპის ცალი სევერიანი კი აკადემიკოსი გახდა სოფლის მეურნეობის დარგში – უკვე კარგა ხანია მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად.

რაც შეეხება თავად ბატონ ნიკოს, ხუმრობა იქით იყოს, და მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1958 წელს, კლასიკური მუსიკისა და პოეზიის დიდი ტრფიალია – ზეპირად იცის ილია, აკაკი, ტატო, გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო...

– ტყუპები რომ დავიბადეთ, მეორე სამშობიარო სახლიდან, კამოს ქუჩაზე რომ არის დღესაც, სახლში თურმე ფაეტონით წავუყვანივართ – გვეუბნება ნ. ცაგარეიშვილი – მთელი ქუჩა დაგვხვედრია, ყველას უნდოდა ჩვენი ნახვა. სევერიანი ჩემზე... 15 წუთით „უფროსია“ და მუდამ „კაპიტნობს“ ჩვენს შორის. წარმოიდგინეთ, ფეხბურთსაც ჩემზე უკეთ თამაშობდა ბავშვობაში.

... „დინამოს“ სტადიონიდან სულ ახლოს ცხოვრობდნენ – ყოფილ კოოპერაციის ქუჩაზე, რომელიც ამჟამად, როგორც იცით, შოთა იამანიძის სახელობისაა. ცხადია, პატარა ბიჭები სულ სტადიონზე ატარებდნენ დროს – მატჩებზე უბილეთოდ, ერთობ „ორიგინალური“ ხერხით, შედიოდნენ – მაღალ, ბარე სამმეტრიან ღობეზე ძვრებოდნენ მუშტაიდისა თუ საგურამოს ქუჩის მხრიდან. მართალია, ერთი-ორჯერ ცხენზე ამხედრებულმა მილიციელმა მწარე წკეპლა გადაუჭირა ძმებს ზურგზე, მაგრამ ეს რა მოსატანია, როდესაც ასე ახლოს ხედავდნენ ტყავის ბურთის სახელგანთქმულ ოსტატებს – ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძეს და სხვებს, თუმცა, როგორც, ალბათ, მიხვდით, ყოველივე ეს კიბეებზე ჩამომჯდართ უწევდათ.

მოგეხსენებათ, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები დიდი ტრიუმფით დაბრუნდნენ 1945 წლის მიწურულში ფეხბურთის სამშობლოდან – დიდი ბრიტანეთიდან. მომდევნო წლის სეზონმა ჩვენი „დინამო“ სწორედ ქვეყნის ჩემპიონთან, მოსკოვის თანაკლუბელებთან შეახვედრა თბილისში მეორე მატჩში, 26 აპრილს.

თამაშის წინა დღე იყო. მოსკოველი ფეხბურთელები ჩვენი სტადიონის სათადარიგო მოედანთან მდგარი მაღალი ჭადრების ჩრდილში წამოწოლილიყვნენ ვარჯიშის დაწყების წინ სახელდახელოდ, თავიანთ უფროს მწვრთნელს მიხაილ იაკუშინს ელოდებოდნენ. ძმები ცაგარეიშვილები უმალვე გეტყოდნენ, თუ რომელი იყო ალექსეი ხომიჩი, ვსევოლოდ რადიკორსკი, მიხაილ სემიჩასტნი, ივან სტანკევიჩი, ვსევოლოდ ბლინკოვი, ლეონიდ სოლოვიოვი, ვასილი ტროფიმოვი, ვასილი კარცევი, კონსტანტინ ბესკოვი, ალექსანდრ მალიავკინი, სერგეი სოლოვიოვი... ახლა ეს ლეგენდარული ოსტატები უბრალოდ ბალახზე წამოწოლილიყვნენ ჩრდილში.

დღის 12 საათი იქნებოდა, ძმები ცაგარეიშვილები სკოლიდან სანუკვარ სტადიონზე გამოემართნენ და... პირდაპირ „თავზე დაადგნენ“ სტუმრებს. რომ იტყვიან, შუბლზე ამოსული თვალებით უყურებდნენ ტყავის ბურთის სახელგანთქმულ დიდოსტატებს. მოულოდნელად სერგეი სოლოვიოვმა ახედა სევერიანს და გამომწვევად უთხრა: – "Эй, парень, почему у тебя такие длинные уши... наверное, часто слушаешь по радио Синявского, когда мы забиваем гол вашим?!"

– "Ты на мои уши не смотри, лучше посмотри, как наш Пайчадзе забет завтра три мяча вашему "тигру" – Хомичу! – არც აცია, არც აცხელა სევერიანმა და ხელით ისეთი „უწმაწური“ ჟესტი მოაყოლა, რომ მთლად გავწითლდი. მოსკოველები სიცილით გადაბჟირდნენ. ს. სოლოვიოვი არ ეშვებოდა სევერიანს:

– "Ох ты, хитрый, видать, парень... а есть ли у вас билеты на завтрашнюю игру? ახლა ნიკო ჩაერია საუბარში:

– Зачем нам билеты... вот наши билеты! – და ხელით უჩვენა რკინის ღობეზე.

მალე მ. იაკუშინიც გამოჩნდა და მოსკოველი ფეხბურთელები უცებ წამოიშალნენ სავარჯიშოდ.

ამ მატჩისადმი თბილისში მართლაც გაუგონარი აჟიოტაჟი იყო. მე მახსოვს, ბიჭებში იმ დღეებში ასეთი ყურმოკრული დიალოგი დადიოდა: თამაშის წინ მოსკოველთა კაპიტანმა მიხაილ სემიჩასტნიმ თურმე უთხრა ჩვენს კაპიტანს ბორის პაიჭაძეს – "Это вам не лимон, это не апельсин - это кожаный мяч... играть надо!" აი, თამაშის შემდეგ კი უკვე ბ. პაიჭაძემ ნიშნის მოგებით უპასუხა მ. სემიჩასტნის: – "Это вам не туманная Англия - это солнечная Грузия... играть надо!"

ეს დაუვიწყარი მატჩი, როგორც ცნობილია, თბილისელებმა მოიგეს 3-2.

– დღესაც მახსოვს ეს შეხვედრა დეტალებში – ამბობს ბატონი ნიკო – 26 აპრილი გახლდათ, სტადიონზე ტევა არ იყო. პირველი ბურთი თამაშის პირველსავე წუთზე მართლაც პაიჭაძემ გაიტანა სახელგანთქმული „ვეფხვის“ – ხომიჩის კარში. ეს „საათიანი“ ტრიბუნის მხარეს იყო: ბორიამ მეტოქის ზედიზედ სამივე მცველი წააწვინა, როგორც მოცელილი ყანა, ჩვეული „სლალომით“ შევიდა საჯარიმოში, ცოტა წაიბორძიკა კიდეც, წონასწორობა დაკარგა ოდნავ, მაგრამ წინ ვარდნაში მაინც მოახერხა ... მარცხენა ფეხის მუხლით რვა მეტრიდან დაერტყა ხომიჩის კარში! ოთხიოდე წუთის შემდეგ გიორგი ანთაძემ მეორე გოლი გაიტანა – სტუმართა საჯარიმოში „დიდი არეულობა“ იყო და გოგიმ ყველას დაასწრო ბურთზე მისვლა – ანგარიში 2-0 გახდა. მერე, 21-ე წუთზე მოსკოველთა მარჯვენა შუამარბმა ვასილი კარცევმა იმარჯვა – თავიანთი მომავალი მეკარის ვალტერ სანაიას კარში უძლიერესი დარტყმით 30 მეტრიდან პირველი საპასუხო ბურთი მოათავსა. მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე პაიჭაძე კვლავ გაუსხლტა საჯარიმო მოედანში თავის მეურვეს – ცენტრალურ მცველს სემიჩასტნის და დაარტყა დაბალი ბურთი. ხომიჩმა მოიგერია იგი, მაგრამ იქვე გაჩნდა მარცხენა გარემარბი ასლან ხარბედია და დაახლოებით 10 მეტრიდან მისთვის ახლო დაბალ კუთხეში მესამე გოლი (ბურთი ხომიჩს ხელებს შორის გაუძვრა) გაიტანა 3-1. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მოსკოველთა მარცხენა ნახევარმცველმა ლეონიდ სოლოვიოვმა უძლიერესი დარტყმით შეძლო მეორე საპასუხო ბურთის გატანა. თბილისის დინამოელებმა გაიმარჯვეს ამ მართლაცდა ისტორიულ მატჩში ანგარიშით 3-2. სხვათა შორის, თამაშის უკანასკნელ წუთებზე ხარბედიამ ხომიჩის კარში მეოთხე ბურთი მოათავსა, მაგრამ ლენინგრადელმა მსაჯმა ნ. ავერკინმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. როგორც იტყვიან, მის ნამუსზე დარჩეს!

ალბათ, საინტერესოა, რომ ამას წინათ, ბატონმა ასლან ხარბედიამ ამ სტრიქონების ავტორს გაანდო ერთი საგულისხმო ფაქტი: თურმე თამაშის შემდეგ „ფეხბურთის პროფესორს“ – მოსკოველთა გუნდის უფროს მწვრთნელს მიხაილ იაკუშინს უთქვამს მსაჯისათვის: „რატომ არ ჩათვალეთ მეოთხე ბურთი – ყველაფერი სწორად იყო შესრულებული?“ თავჩაქინდრული სტუმრები – ინგლისის დიდი სტადიონების ტრიუმფატორები ტოვებდნენ ჩვენს მინდორს. ამ დროს კი თბილისელი გულშემატკივრები დასავლეთ – სამხრეთ ტრიბუნების შესაყართან ცოცხალ ყვავილებს ესროდნენ გვირაბში ჩასვლისას ბორის პაიჭაძესა და მის თანაგუნდელებს.

მხოლოდ 1946 წლის 11 აგვისტოს მატჩზე იუგოსლავიის დიდებულ „პარტიზანთან“ (ბელგრადი) ჰქონდათ ძმებ ცაგარეიშვილებს ნამდვილი ბილეთები ფეხბურთზე, მამამ მოუტანა-თურმე ჩვენი სტადიონის მაშინდელ დირექტორს, დინამოელთა პირველ კაპიტანს შოთა შავგულიძეს მიუცია მისთვის. ბიჭები მოიხიბლნენ ვირტუოზი სტუმრების – ზლატკო ჩაიკოვსკის, სტეპან ბობეკის, რაიკო მიტიჩისა და სხვათა თამაშით, მაგრამ პირდაპირ „გადაირივნენ“ ჩვენი სახელგანთქმული პენალტისტის მიხეილ ბერძენიშვილის დაუვიწყარი 11-მეტრიანით ფრანიო გლაზერის კარში, მეკარე რომ ერთ კუთხეში გადახტა, ბურთი კი მეორეში შეგორდა! ცხადია, სევერიანი და ნიკო თავადაც ბევრს თამაშობდნენ ფეხბურთს – სკოლის ეზოში იყო ეს თუ ქუჩაში, „არტოს“ ბაღში თუ „პიშჩევიკების“ სპორტულ მოედანზე. სევერიანი ჯერ თავისი კლასის გუნდის კაპიტნად აირჩიეს, მერე მთელი სკოლისა, ბოლოს კი, ინსტიტუტში სწავლის დროს, იგი „ტბიიუტის“ გუნდის თავკაცი გახდა. ბიჭები ნიკოს თავდაპირველად კარში აყენებდნენ – „კარგად იჭერო ბურთს“, სევერიანი კი ნახევარდაცვაში გამოდიოდა. უბრალო სამმანეთიანი თასი იყიდეს და კლასების პირველობა გაითამაშეს. ძმები ცაგარეიშვილები ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში აიყვანეს. ანსამბლი როსტოვში გაემგზავრა გასტროლებზე, მერე კვლავ ემზადებოდა რუსეთში წასასვლელად საკონცერტოდ, მაგრამ ნიკომ მოულოდნელად „შრომითი რეზერვების“ გუნდში მისვლა ამჯობინა და მწვრთნელ რაჩიკ მამაჯანოვს (იგი დღესაც, ეგრეთ წოდებულ „სუკონკას“ სტადიონზე მუშაობს) გამოეცხადა. გუნდი ემზადებოდა თავიანთი სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე ბაქოში გასამგზავრებლად. ნიკო პირველად დააყენეს მარცხენა გარემარბად. სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელი იყო, კარგად გამოსდიოდა ფინტები და დრიბლინგი, ბურთი თითქოს ფეხზე ჰქონდა გამობმული. გუნდი, რომლის კაპიტანი თენგიზ გოჩალეიშვილი (მოგვიანებით „ტტუ“-ს კაპიტანიც) იყო, მეხუთე ადგილზე გავიდა. ეს 1950 წელს მოხდა. უხაროდა ნიკოს ნამდვილ გუნდში თამაში.



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი – სტალინური კონსტიტუციის თასის მფლობელი 1952 წელს: (მარჯვნიდან) ავთო ქეჟილაშვილი, ვლადიმერ პანდელოვი, კოტე მესხი, გივი თავაძე, კარლო ყრუაშვილი, ოთარ კიშინსკი, გეო მურადიანი, კარლო გოგიჩაიშვილი, ნიკო ცაგარეიშვილი, ჟორა ელიაზაროვი, იგორ ფოტინოვი.

სკოლას ამთავრებდა, როდესაც ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა ასირ გალპერინმა 17 წლის ჭაბუკი უბნის „ორგოლობიანობის“ თამაშის დროს ნახა და მეორე დღესვე აიყვანა თავისთან ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში 1952 წელს. საქართველოს პირველობაზე თამაშობდნენ. იმავე წელს სტალინური კონსტიტუციის თასი მოიპოვეს. ერთნაირი ანგარიშით 3-0 დაამარცხეს ბათუმის „დინამო“, ქუთაისის „დინამო“ და გორის „დილა“. პირველ ორ შეხვედრაში ნიკომ თითო ბურთი გაიტანა, აი 21 დეკემბრის ფინალურ მატჩში „დინამოს“ სტადიონზე კი სამივე გოლი მის ანგარიშზე იყო. გამარჯვებულთა გუნდის ღირსებას მასთან ერთად იცავდნენ კარლო ყრუაშვილი, გიორგი ბაქანიძე, კოტე მესხი, გივი („თაქლა“) თავაძე, ოთარ კიშინსკი და სხვანი, სხვათა შორის, ცოტა ადრე – სექტემბერში – ამ გუნდმა სპორტსაზოგადოება „ისკრის“ საკავშირო პირველობაზე იასპარეზა სოხუმში და საპატიო მეორე ადგილზე გავიდა.

– Хочешь играть у нас? – შეეკითხა თბილისში ჩამოსულ ნიკო ცაგარეიშვილს მიხაილ იაკუშინი.

– !!!

– А писать заявление умеешь? – თვალი მოჭუტა ცბიერმა „მიხეიმ“.



ნიკო ცაგარეიშვილმა (ცენტრში) საჯარიმოში მოატყუა მეტოქეთა მცველი და ახლა ზუსტი დარტყმით ბურთს გაახვევს კარის ბადეში.

ახალგაზრდა ფეხბურთელი „დინამოში“ აიყვანეს – დუბლებში, სადაც თამაშობდნენ შოთა კიტია, თამაზ ჯანელიძე, ოთარ ოთარაშვილი, ზურაბ სოტკილავა, იური უსტაბაშიდი, მელორ არშბა და სხვები.

ახალი წლის იანვრის ბოლოს იაკუშინმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დინამოელები ორი შემადგენლობით ათამაშა ერთმანეთთან. მეთერთმეტე კლასელი ნიკო ცაგარეიშვილი ნახევარმცველად დააყენა მარცხნივ – რეზო მახარაძის მეურვეობა დაავალა, თან დასძინა:

– "Смотри, Риваз быстрый, энергичный, финтовой игрок... держи его плотно, не давай возможность получать мячи, срывай с него передачу"...

ნიკომ საკმაოდ კარგად ჩაატარა დებიუტი „დინამოში“. აკი თამაშის დროს მახარაძემ შესჩივლა თავის კაპიტანს ა. ღოღობერიძეს: „ბასა, რავა ყველა გიჟი ჩვენთან მოჰყავთ?... ფინიასავით ტრიალებს ჩემს ფეხებთან!“ თამაშის შემდეგ უკვე მიხაილ მინაევმა უთხრა ნ. ცაგარეიშვილს: „ყველაფერი რიგზეა, ასე განაგრძე!“

ლესელიძეში უნდოდათ ნიკოს წაყვანა საგაზაფხულო შეკრებაზე, მაგრამ სკოლის დირექტორმა ალიოშა ცინცაძემ უარი უთხრა მასთან მისულ ბორის პაიჭაძეს ნიკოს გაშვებაზე: „დაამთავროს ეს მეთერთმეტე კლასიც და მერე სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთ! ბოლოს და ბოლოს, ჩვენი პედაგოგის შვილია და აბა რა მაგალითს მივცემთ მის ამხანაგებს!“

ჩამოვიდნენ თუ არა დინამოელები ლესელიძიდან, ნიკო მაშინვე შეუერთდა გუნდს.

– დღეს „მიხეის“ უნდა ახალ ამპლუაში გამოგცადოს! – უთხრა მ. მინაევმა ლენინგრადის სასტუმრო „ევროპეისკაიაში“ ნიკოს – შედი მასთან, გიბარებს!

ეს „ზენიტთან“ მატჩის წინ იყო: "Цагере, сегодня у них играет высокий, техничный правый край... выключи его из игры полностью - быстротой, цепкостью, если надо, хитростью!"

ნიკომ საუკეთესოდ შეასრულა უფროსი მწვრთნელის დავალება – მეტოქეს მართლაც ფეხი არ გაანძრევინა, ისე რომ, იმ დღეს საუკეთესოდ მითამაშე თბილისელთა მეკარე ნოდარ ჭანტურიას მარცხნიდან არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა. 2-0 მოვიგეთ. გასახდელში უზომოდ დაღლილი ნიკო წუთით წამოწვა ტახტზე, თვალი მოხუჭა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოეპარა მ. იაკუშინს – "Что, устал?.." თბილისში ჩამოსვლის პირველსავე ვარჯიშზე „მიხეიმ“ უთხრა ნიკოს: "Цагере, давай 10 кругов по стадиону, только, смотри, без "липы" - не срезай углы на выражах!"

... ი. სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს, მალე ლ. ბერია დაახვრეტინა იმ ავადსახსენებელმა ხრუშჩოვმა... იაკუშინიც წაგვართვა მოსკოვმა, თბილისიდან გამგზავრებისას „დიდმა მიხამ“ ყველა ჩვენი ფეხბურთელი გადაკოცნა, ცრემლებს ვერ იკავებდა...

1954 წლის სეზონში, 8 აპრილს ნიკო ცაგარეიშვილმა პირველად ითამაშა „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში – თბილისში მოსკოვის „ლოკომოტივთან“. 4-2 მოვიგეთ. ნიკომ ნიკოლოზ თოდრია შეცვალა. მესამე ბურთი სტუმართა კარში ალიოშა კოტრიკაძემ გაიტანა ცაგარეიშვილის გადაცემიდან.

ამას მოჰყვა 14 აპრილის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“. 2-1 გავიმარჯვეთ. თბილისელთა მარცხენა ფლანგზე კვლავ თამაშობდა ნ. ცაგარეიშვილი.

მესამე მატჩში ცდსა-სთან ნიკომ ალიოშა კოტრიკაძე შეცვალა თამაშის მსვლელობაში. 1-1 დამთავრდა ეს შეხვედრა.

მეოთხე თამაში ხარკოვის „ლოკომოტივთან“ იყო. დიდი ანგარიშით 7-1 გავიმარჯვეთ. ნ. ცაგარეიშვილმა ამ დღეს 3 ბურთი გაიტანა სტუმართა მეკარის ნიკოლაი უგრაიცკის კარში. ეს იყო მეოთხე წუთზე: ორი მცველი – იზვეცკი და ეროშინი მოატყუა და დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი წუთით ადრე მარცხენა ფრთიდან გასულმა ცაგარეიშვილმა კარგი მდგომარეობიდან ააცილა ბურთი მიზანს. მეორე ტაიმში ღოღობერიძე დაშავდა და იგი ბორის ხასაიამ შეცვალა – მარცხენა ფლანგზე დააყენეს შემოსული, ცაგარეიშვილი კი ცენტრში „გადაისროლეს“. ახალ ადგილზე ნიკოს, რომ იტყვიან, თამაში „წაუვიდა“ – „ბურთი ვიგრძენი ფეხებშიო!“ მეორე ტაიმის მე-4 წუთზე დინამოელებმა მე-6 ბურთი გაიტანეს: ნიკო მარცხნიდან დაიძრა კარისკენ დრიბლინგით, ზედიზედ სამი მცველი მოატყუა და ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში. თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ცაგარეიშვილმა ჰეთ-ტრიკი შეასრულა – ამჯერად ბურთი მაღალ კუთხეში გაგზავნა, ისიც მარცხნივ. მეხუთედ გამოვიდა ცაგარეიშვილი ძირითად შემადგენლობაში – ეს ლენინგრადის „ზენიტთან“ იყო. თამაშის დროს ნიკოს მუცელში მოხვდა ბურთი, სუნთქვა შეეკრა და მეორე ტაიმის დასაწყისში გაიყვანეს მინდვრიდან. წავაგეთ 0-2.

თავისი მეექვსე შეხვედრა ნიკო ცაგარეიშვილმა კიევის „დინამოს“ (0-0) წინააღმდეგ ჩაატარა – ისევ მარცხენა მცველად. იური გრამატიკოპულოს წინააღმდეგ გამოიყვანეს. თამაშის დღეს დილომში, დილის მოთელვაზე, უფროსმა მწვრთნელმა ბორის პაიჭაძემ იკითხა, თუ ვინ გრძნობდა თავს შეუძლოდ. იბრაგიმ სარჯველაძემ განაცხადა, რომ ფეხი აწუხებს და თამაში გაუჭირდება. ჩვენს გუნდში მოსკოვიდან დაბრუნებულმა მეკარე ვალტერ სანაიამ უცებ ხელი გაიშვირა ცაგარეიშვილისაკენ: „სოლომონოვიჩ, აგერ „გამოცდილი“ მეოთხე ნომერი – ჩვენი ნიკუშა (ეტყობა, იცოდა „ზენიტის“ დუბლებთან მატჩის ამბავი) – ეს ამოკეტავს, თუ ამოკეტავს, „გრამატიკას“. ნიკომ ეს ხუმრობად მიიღო, მაგრამ საუზმის შემდეგ მ. მინაევმა განმარტოებით უთხრა: „ბორია გაყენებს დღეს გრამატიკოპულოს წინააღმდეგ, როგორც „მიხეი“ მაშინ ლენინგრადში. აბა შენ იცი!“ ცაგარეიშვილმა ფრიადზე ითამაშა ეს მატჩი და აკი მწვრთნელებმა „5“ დაუწერეს. მხოლოდ ერთხელ დაჯაბნა კიეველმა თბილისელი მთელი 90 წუთის განმავლობაში, ისიც თამაშის დასაწყისში. სტუმართა კაპიტანი ანდრო ზაზროევი ხმამაღლა უყვიროდა გრამატიკოპულოს: „იურა, მომეცი პასი, ხომ ხედავ, ვერ ატყუებ „ოთხიანს“!

სამწუხაროდ, ეს იყო ნიკო ცაგარეიშვილის უკანასკნელი, მატჩი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში....

ახალი, 1955 წლის სეზონის დასაწყისში ნ. ცაგარეიშვილმა და დინამოელთა ნახევარმცველმა აჩიკო კილაძემ მიწვევა მიიღეს კიევის „დინამოდან“ – დეპეშები მოვიდა ოლეგ ოშენკოვისა და ანტონ იძკოვსკის ხელმოწერით. ორივე ჩავიდა უკრაინის დედაქალაქში და ვარჯიშს შეუდგა კიეველთა გუნდში. მაგრამ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ არ მისცა ა. კილაძეს თბილისის „დინამოდან“ განთავისუფლების ნება. ნიკო ახალი სეზონისათვის გაგრაში ემზადებოდა. პირველ მატჩში სათადარიგოთა შემადგენლობაში ათამაშეს ნიკო მოსკოვის „ლოკომოტივთან“ – ევგენი ლემეშკოსთან, ვასილი ეროხინთან, მიხაილ მიხალინასთან, ერნსტ იუსტთან, ვიქტორ კანევსკისთან, იური კოლცოვთან და სხვებთან ერთად. წარმოიდგინეთ, კიროვის სახელობის 90-ათასიანი სტადიონი თითქმის სავსე იყო. ამ დღესაც შეხვედრა ფრედ დამთავრდა 0-0. ცაგარეიშვილმა ჯერ ორი თუ სამი ნაღდი ბურთი მიაწოდა პარტნიორებს, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები, ბოლო წუთებზე კი ნიკომ ვინკოვატოვის პასიდან 5 მოთამაშე მოატყუა ზედიზედ, პირისპირ გავიდა მეკარესთან და... იჩქარა – ბურთი დაიკარგა.

მერე ცაგარეიშვილს მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ ამზადებდნენ სათამაშოდ, მაგრამ ბოლო მომენტში მის ნაცვლად ვიქტორ ფომინი გამოიყვანეს მინდორზე. კიეველები თბილისში ჩამოვიდნენ, ო. ოშენკოვს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ნიკო ცაგარეიშვილი გამოეყვანა თამაშში („შენ ყველაზე კარგად იცნობ თბილისელებს ჩვენს შორის), მაგრამ თვითონ ნიკომ არ ისურვა თამაში... თავისიანების წინააღმდეგ. „ცაგარენკო, მიკოლა ცაგარენკო! – გაისმოდა ტრიბუნებიდან – „დავაი, ვიხოდი ნა პოლე, ცაგარენკო!“

ვერ გაძლო ნიკომ კიევში სეზონის ბოლომდე – სექტემბერში დაბრუნდა მშობლიურ თბილისში. სერგო სიხარულიძემ იგი „ტტუ“-ში აიყვანა, სადაც გამოდიოდნენ თენგიზ გოჩალეიშვილი, ფეოდორ („მალაკანა“) იაკუშევი, გიორგი ქაცარავა, ვალიკო ირემაძე, როინ ტაბუცაძე, სოსლან ნავროზაშვილი... ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ჩვენს დინამოელებს ჯერ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, მერე კი „დინამოს“ სტადიონზე. ნიკო ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა ჯუმბერ რუსაძის წინააღმდეგ. 1-0 წაიყვანა „ტტუ“-მ. „დინამომ“ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ნ. ცაგარეიშვილმა ვლადიმერ მარღანიას კარში (ისევ და ისევ „საათიან“ მხარეს) მისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა გამარჯვების გოლი – 2-1.

ნიკო ცაგარეიშვილმა „ტრამვაელთა“ გუნდში სამი სეზონი ითამაშა. 1961-1965 წლებში იგი გამოდიოდა ჯერ ახალციხის „მესხეთში“ (მწვრთნელი ოთარ გეგეჭკორი), მერე კი ტყიბულის „მეშახტეში“ (მწვრთნელი იური კურტანიძე). „მესხეთი“ მე-3 საპრიზო ადგილზე გავიდა რესპუბლიკის ჩემპიონატში, ხოლო „მეშახტემ“ საქართველოს თასი მოიპოვა: ფინალში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ანგარიშით 2-1 დაამარცხა მახარაძის „მერცხალი“. ამ მატჩში ნიკომ პირველი ბურთი გაიტანა.

67 წლის ფეხბურთის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის ოსტატი ნიკო ცაგარეიშვილი დღეს პენსიაზეა და... „ოთახის ფეხბურთით“ ერთობა და ხარობს თავის საყვარელ შვილიშვილებთან – 10 წლის სოფიკოსთან და 7 წლის მარიამთან.

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან*



ვახტანგ კუციას შარჟი ნიკო ცაგარეიშვილზე

ჭადრაკის ამბები

# გერმანიის ჩემპიონებს ჰქვიათ ... ქეთევანი და დათო

გერმანული ჟურნალი „როხადე" თავის უახლოეს, ივლისის ნომერში წერს იმ ქართველი მოჭადრაკეების შესახებ, რომლებიც ახლა გერმანულ ტურნირებში მონაწილეობენ.

უკვე კარგა ხანია გერმანიის უძლიერესი მოჭადრაკე ქალია საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გიორგი მაჭარაშვილის ყოფილი მოსწავლე ქეთევან კახიანი. მას ქალთა შორის მეტოქე რახან არა ჰყავს, ამიტომ ვაჟთა ტურნირებში თამაშობს, ძირითადად ბუნდესლიგაში და სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებშიც მონაწილეობს. ქეთევანს წლეულს სტამბოლის ოლიმპიადა და ქალთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ელის (ნოკაუტ-სისტემით).

„როხადე" ვრცელ მასალას ათავსებს გერმანიის ჩემპიონატების შესახებ, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის. ამჟამად ჩატარდა შეჯიბრება 14, 16, 18-წლიანთა კატეგორიებში. ამ 6 ტურნირში ყველაზე უკეთესი, მაქსიმალური შედეგი (!) ჰქონდა 11 წლის დათო ბარამიძეს, რომელიც 14 წლამდე ჭაბუკებს შორის თამაშობდა, მოიგო ყველა ცხრა

ჭადრაკის ამბები

პარტია და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე გასული ფრანც გუტენტალესი მას მთელი სამი ქულით ჩამორჩა.

დათომ მონაწილეობა მიიღო ერთდროული თამაშის სეანსში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან. ბარამიძემ შავებით უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ, საკუთარი განცხადებით, ვერ მონახა უპირატესობის გაზრდის გზა და ყაიმზე შეთანხმდა.

1. d4! მf6 2. კg5 d5 3. e3 g6 4. კf6 ef 5. c4 dc 6. კc4 კd6 7. მc3 0-0 8. მf3 მd7 9. 0-0 f5 10. ეc1 c6 11. ლc2 მf6 12. ეfd1 ლe7 13. g3 კe6 14. კe6 ლe6 15. a3 ყაიმი.

ჟურნალის მიმომხილველი პეტერ შრაინერი დათო ბარამიძეს „ტოპტალანტს" უწოდებს.

## ვაჟი დიდოსტატის ბალი - ნანა იოსელიანს

ამჟამად ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება ექვს გამოჩენილ მოჭადრაკე ქალს აქვს: ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, იუდით და ჟუჟა პოლგარებს, პია კრამლინგს და სიუ ჟუნს.

ახლა მათთან გათანაბრების შესაძლებლობა მიეცა კიდევ ერთ შესანიშნავ ქართველ დიდოსტატ ნანა იოსელიანს. ამ დღეებში მიუნხენში დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო მატჩ-ტურნირში „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ", რომელიც ქალებმა მოიგეს მთელი 4 ქულის უპირატესობით, ნანა იოსელიანმა მშვენიერ შედეგს მიაღწია – 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა. ეს ქალთა შორის სიუ ჟუნთან ერთად ყველაზე მაღალი შედეგია და ვაჟი დიდოსტატის ბალს უდრის. კიდევ ერთი ასეთი მიღწევის შემთხვევაში ნანა იოსელიანს (რომელსაც ორი მატჩი აქვს ნათამაშევი მსოფლიო პირველობაზე) დიდოსტატის წოდება მიენიჭება ვაჟთა შორის.

## პროფესიონალთა ახალი „რეიტინგი"

პროფესიონალ მოჭადრაკეთა „რეიტინგ-ლისტი" დღეისათვის ასე გამოიყურება: 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) – 2825. 2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) – 2749. 3. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2742. 4. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) – 2718. 5. პეტერ ლეკო (უნგრეთი) – 2715. 6. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) – 2714. 7. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 2701. 8. გატა კამსკი (აშშ) – 2696. 9. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 2680. 10. ევგენი ბარეევი (რუსეთი) – 2676. 11. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 2676. 12. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 2654. 13.ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) – 2651. 14. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) – 2649. 15 ნაიჯელ შორტი (ინგლისი) – 2645. 16. ზოლტან ალმაში (უნგრეთი) – 2642. 17. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) – 2640. 18. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) – 2638. 19. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) – 2635. 20. ალექსეი დრეევი (რუსეთი) – 2632 და ა.შ.

## „მსოფლიო ჩემპიონის გვარი გექნება"

**20 წლის უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს უამრავი გულშემატკივარი (და რამდენიმე სპონსორი) ჰყავს არა მარტო სამშობლოში, არამედ სხვა ქვეყნებში, პირველ რიგში, გერმანიაში. ბევრი მოელის, რომ ხვალ იქნება, თუ რამდენიმე წლის შემდეგ, იგი შეიძლება მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდეს.**

**ლეკოს ჰყავს დანიშნული – ცნობილ სომეხ დიდოსტატ არშაკ პეტროსიანის (რომელიც მუდმივად დორტმუნდში ცხოვრობს) ქალიშვილი სოფია. ამ დღეებში პეტერს შეეკითხნენ, მას შემდეგ, რაც ცოლს მოიყვანს, ხომ არ აპირებს გვარის გამოცვლას – პეტროსიანი გახდეს. მაშინ ხომ იგი მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის – ტიგრან პეტროსიანის მოგვარე გახდება.**

**ახალგაზრდა უნგრელმა ასე უპასუხა:**

**– მე ცოტა სხვაგვარი გეგმები მაქვს. ჩემს ბიჭს ტიგრანს დავარქმევ, მსოფლიოს ახალი ჩემპიონის გვარი კი ლეკო იქნება.**

## 77 წლის გლიგორიჩი

ვანკუვერში (აშშ) გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი (შვეიცარიული სისტემით, 10 ტურად). მასში სხვადასხვა ქვეყნის 82 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, რომელთა შორის უხუცესი იყო ერთ დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე და პრეტენდენტების ასპარეზობის არაერთგზის მონაწილე, 77 წლის სვეტოზარ გლიგორიჩი.

თურმე ასეთ ასაკშიც შესაძლებელი ყოფილა წარმატებით თამაში. სვეტოზარ გლიგორიჩმა მეორე გამოჩენილ იუგოსლაველ დიდოსტატ ბორა ივკოვსა და ამერიკელ ოსტატ დონალდსონთან ერთად 7,5-7,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო, პირველი კი 8,5 ქულით დიდოსტატი ვლადიმირ ეპიშინი (რუსეთი) იყო.

## ბერძნები ფიბას მხარეზე არიან

*საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციამ ფიბას 2000/01 ევროლიგის მეორე საგზური „არისის" ნაცვლად კლუბ „ირაკლისს" დაუთმო, რასაც ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის საბჭოს 12 წევრთაგან 10-მა დაუჭირა მხარი. თუმცა ფიქრობენ, ბოლო მომენტში ევროლიგა 20-დან 24 გუნდამდე გაიზრდება და საბერძნეთი ტურნირში კიდევ ერთ ადგილს მიიღებს – ამ შემთხვევაში იგი „არისს" მიეკუთვნება.*

*„ირაკლისთან" ერთად ფიბას ევროლიგაში გამოვა ათენის „პანათინაიკოსიც.*

დოპინგი

# ვისაც ენდობიან, თურმე ისინიც სცდებიან...

დოპინგს სპორტში უკლებლივ მსოფლიოში ყველა ინსტანციისა და რანგის სპორტული ორგანიზაცია და მათი სამედიცინო სამსახურები ებრძვიან. ათასობით მედიკამენტია შეტანილი აკრძალულ ანუ დოპინგის შემცველ პრეპარატთა ნუსხაში და, რომელიღაც მათ შორის სულაც არ არის უკანასკნელი – „აკრძალული ხილის" სია, ჯერჯერობით უსასრულოდ იზრდება და ალბათ არც დასრულდება ვიდრე სპორტი და მედიცინა ურთიერთშეხებაშია. განა ვინმე იტყვის, რომ ეს პროცესი დასრულებადია?


*მერლინ ოტი*

ამ ფონზე ასევე უსასრულოდ გრძელდება სპორტსმენთა და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების კონფლიქტები. სპორტსმენებისთვის თავიანთ ფედერაციებს გამოაქვთ სასჯელი. ათლეტები თავის მხრივ თავს იმართლებენ და, წარმოიდგინეთ ზოგჯერ მართლდებიან კიდეც, ე.ი. სცდებიან მედიკოსები, ისინი, ვისაც ნამდვილად არ აქვს შეცდომის უფლება, მათ მიერ გამოტანილი დასკვნა კი ფედერაციის სანქციის საფუძველი ხდება.

ავიღოთ სულ ახალი, იამაიკელი მორბენლის მერლინ ოტის სათავგადასავლო მაგალითი. ეს მძლეოსანი გაამართლა საარბიტრაჟო სასამართლომ და იგი ვადამდე დაუბრუნდა სპორტს. მაგრამ ვინ აგებს პასუხს სპორტსმენთა მორალურ ზარალზე?

„განვლილი 12 თვე მეჩვენებოდა, რომ სამუდამო პატიმრობა მქონდა მისჯილი დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩამიდენია. ძალიან რთული იყო ვარჯიშზე კონცენტრირება და ამავე დროს შენი უდანაშაულობის დამტკიცება. არბიტრაჟის გასამართლებელი ვერდიქტი ჩემთვის საინტერესო სიახლედ იქცა. ახლა ჩემი მიზანია სიდნეიში, ოლიმპიადაზე მოხვედრა" – ამბობს მერლინ ოტი.

შეგახსენებთ, რომ ეს სპორტსმენი ჯერ კიდევ მოსკოვში გამართულ ოლიმპიადაში მონაწილეობდა. ახლახან სარდინიის რეგიონულ ტურნირში 100 მ. რბენა მოიგო შედეგით – 11,42.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**21 ივლისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ჯეოსელის თასი. რეპორტაჟი ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (12.15), „სტადიონი" (18.40), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": გერმანიის ჩემპიონატი – ჰანზა – ჰამბურგი (13.45), ინგლისის – ჩელსი – მანჩესტერ იუნაიტედი (16.35), ჰოლანდიის – პსვ-ეინდჰოვენი – ტვენტე (19.15), იტალიის – იუვენტუსი – მილანი (22.55). ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა და ჩემპიონთა თასი (0.40, 21.00), ***ESPN.*** ველორბოლა. ტურ-დე-ფრანსი (3.30, 10.00, 1.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 18-წლიანებს შორის (14.00, 21.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (3.15).

**22 ივლისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ჯეოსელის თასი. რეპორტაჟი ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (12.15), „სტადიონი" (19.05). ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": ჰოლანდიის ჩემპიონატი: პსვ-ეინდჰოვენი – ტვენტე (13.15), იტალიის: იუვენტუსი – მილანი (16.45), საფრანგეთის: ნანტი – პარი სენ-ჟერმენი (19.55), გერმანიის: მიუნხენ 1860 – ბავარია (21.40), ესპანეთის: რეალი – ატლეტიკო (23.30). ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (5.00, 9.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი, გერმანიიდან (14.00), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (19.30,1.30).

**23 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ჯეოსელის თასი. რეპორტაჟი ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (12.15), კავკასია. „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი" ესპანეთის ჩემპიონატი – რეალი – ატლეტიკო (13.15), საფრანგეთის – ნანტი – პარი სენ-ჟერმენი (15.45), გერმანიის მიუნხენ-1860 – ბავარია (17.30), იტალიის – ბარი – ინტერი (23.55). ბრაზილიის ჩემპიონთა თასი (22.10), ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (3.30, 10.00, 4.00), ცხენოსნობა. დაიჯესტი (4.30). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (18.00, 3.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 18-წლიანებს შორის (21.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (3.45).

## კროსვორდი №56



**თარაზულად:** 7. ქართველი ძალოსანი – ოლ. ჩემპიონი, 8. თბ. საფ. კლ. „ლოკომოტივის" ერთ-ერთი მწვრთნელი, 9. ინგლისის ნაკრების ფორვარდი, 10. ხორვატიის ნაკრების ფორვარდი, 11. ლაინსმენის აქსესუარი, 12. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი 80-90-იან წლებში, 13. კორეის საფ. ნაკრების წევრი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 14. ქართველი მოფარიკავე ვეტერანი ქალი, ცნობილი მსახიობი, 19. ქართველი ვეტერანი ფალავანი, აწ გარდაცვლილი, 21. მთამსვლელობა ანუ... 22. გაფრთხილება ძიუდოში, 23. ფეხბურთელი – თბილისის „დინამოს" 50-იანი წლების თავდამსხმელი, 25. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 26. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, 29. იაპონიის საფ, ნაკრების ნახევარმცველი 1998 წ. მ/ჩ-ზე, 31.. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი – მცველი, 32. იტალიის საფ. ნაკრების მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. სპორტის ტანვარჯიშული სახეობა, 2. პატარა ნივთი, რომელსაც თითქოს გამარჯვების მოტანა შეუძლია, 3. ტანვარჯიშული იარაღი, 4. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 5. ბათუმის საფ. კლუბის ახლანდელი მწვრთნელი, 6. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი ფეხბურთელი, 15. ოსი ფეხბურთელი – „თბილისის „დინამოშიც" თამაშობდა, 16. ფეხბურთელი – მოსკოვის „სპარტაკის" ვეტერანი მცველი, 17. ფეხბურთში 1966 წ. მ/ჩ-ის თილისმა, 18. ჩემპიონატში გამარჯვებული, 20. ყველაზე ძვირადღირებული იტალიაში მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი, 23. ჩეხეთის საფ. ნაკრების თავდამსხმელი, 24. ფორმულა 1-ის ირლანდიელი პილოტი, 27. მძიმეწონოსანი ცნობილი პროფესიონალი მოკრივე. 28. წარსულში მარსელის „ოლიმპიკის" საფ. კლუბის პრეზიდენტი, რომელმაც სახელი გაითქვა ფინანსური მაქინაციებით, 30. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი.

### «კროსვორდი» №54-ის პასუხები:

**შვეულად:** 1. ფილიპე, 2. ვილა, 3. ქიმია, 4. კარამბე, 5. ტიალი, 6. დაჩი, 7. ფილტვი, 14. ბირმა, 15. წანდილი, 17. გონდოლა, 18. ალთაი, 19. გუგუა, 20. ლი, 21. რუ, 22. აშარი, 25. ია, 26. და. 28. ზიარება, 30 ავარია, 32. ზარალი, 33. კედია, 34. ილიკო, 36. აზრი, 38. მური.
**თარაზულად:** 8. შინიკი, 9. იტალია, 10. მატრიცა, 11. ზიდანი, 12. ლაისტი, 13 ალუმინი, 14. ბეწვი, 16. ჰიგია, 19. გალერეა, 23. მუდრეგი, 24. პაროდია, 27. ალაზანი, 29. მაისი, 31. ბრაზი, 33. კობალტი, 35 კარატე, 37. ლემური, 39. დიკენსი, 40. ბისრტი, 41. კორალი.

### «კროსვორდი» №55-ის პასუხები:

**თარაზულად:** 2. გურალია, 7. კრამნიკი, 9. კატო, 11. არანტა, 12. ირაო, 13. სარმა, 15. ტაისონი, 16. ლი, 19. ჯი, 20. ბენე, 23. კროსმენი, 24. პელე, 25. ეტო, 26. პანიუკოვი.
**შვეულად:** 1. ბრაგა, 2. გროსმაისტერი, 3. როსი, 4. ლამა, 5. რავანელი, 6. უკრაინა, 8. ნაიდორფი, 10. ჩანოვი, 14. კლუივერტი, 15. ტაბიძე, 17. შუკერი, 18. არენა, 21. ტირი, 22. ლეკო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლg7! მუქარა 2. კa3X.
1. ...ეa8 2. ლd4X. 1. ...ეe5 2. ლc7X.
1. ...კe5 2. მe4X. 1. ...მფd6 2. კa3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №5 ივლისი, 2000 წელი

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ულოცავს თავის პრეზიდენტს სენსეი კახა ბასილიას დაბადების დღეს და უსურვებს, რომ იღბალი მუდამ მისი თანამგზავრი ყოფილიყოს ქვეყნისა და ერის კეთილდღეობის საქმეში.**

***ფედერაციის პრეზიდიუმი.***

**მილოცვები მოვიდა პრაქტიკულად აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან და მსოფლიოს მრავალი ათეული კუთხიდან. მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა ტეკიაგი კამეანაგიმ მოულოცა და წარმატებები უსურვა იმ საქმეში, რასაც კახა წლების განმავლობაში ერთგულად, უანგაროდ ემსახურება.**

# კახა ბასილია



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული, საქართველოს სტუდენტური და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტს. მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის (შიხან კაის) და დირექტორატის წევრი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტი. მსოფლიოს აღმოსავლური ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, კაზაკთა გენერალი.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არა ერთი გზის პრიზიორი, იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის მე-5 დანის მფლობელი და მსოფლიოს კარატე-დოს ფედერაციის მე-6 საპატიო დანის მფლობელი, რომელიც მიენიჭა 1996 წელს იაპონიის კარატე-დოს ფედერაციის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისთვის.



პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ჩვენს თანამოღვაწეს ბატონ კახა ბასილიას

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, დიდ პიროვნებას, მოქალაქეს, სულით და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ უშრეტ ენერგიას საქართველოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს მოქალაქეთა
კავშირის გენერალური მდივანი
*ედვარდ სურმანიძე*

# საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტს ბატონ კახა ბასილიას

**ბატონო კახა!**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებებს სამსახურეობრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

თქვენ, როგორც მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის დირექტორატისა და ტექნიკური კომიტეტის წევრს, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტს, აგრეთვე მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსს, იაპონიის აბსოლუტურ ჩემპიონსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მრავალი პრიზის მფლობელს, მთელი სისრულით გაქვთ გათვითცნობიერებული, რომ თითოეული ჯარისკაცის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რაოდენ მნიშვნელოვანია ქართულ ჯარში კარატე-დოს დანერგვა, ამიტომ შესაშური ენთუზიაზმით უანგაროდ ემსახურებით ეროვნული არმიის აღმშენებლობის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს და ღირსეული წვლილი შეგაქვთ მის შემდგომ წარმატებაში.

გვწამს, რომ თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი, უდიდესი სპორტული გამოცდილება, ახალგაზრდული ენერგია და შრომისმოყვარეობა მომავალშიც დიდად წაადგება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

კიდევ ერთხელ სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებასა და ახალ-ახალ გამარჯვებებს ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**პატივისცემით,**
**საქართველოს თავდაცვის**
**მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი**
***დავით თევზაძე***
*22 ივლისის 2000 წელი*

# საქართველოს კაზაკთა კავშირს საპატიო გენერალს კახა ბასილიას

***ძვირფასო კახა!***

მიიღეთ თქვენი დაბადების დღის გულწრფელი მილოცვა საქართველოს მრავალათასიანი კაზაკების სახელით, რომლის საპატიო გენერალიც თქვენ ბრძანდებით.

დაუფასებელია თქვენი წვლილი საქართველოს სპორტის, კერძოდ მძლეოსნობის ყველა სახეობის განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდისა და ახალგაზრდობის ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მომზადების საქმეში. თქვენ აქტიურად მონაწილეობთ საქველმოქმედო საქმიანობაში, არაერთხელ მოგინახულებიათ საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის წევრებთან ერთად კოჯრის ბავშვთა სახლი, ზემო ავჭალის მცირეწლოვანთა კოლონია...

ნება მოგვეცით, ამ საზეიმო დღეს, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი იუბილე და ყოველგვარი სიკეთე გისურვოთ – მორალური, მატერიალური... გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ოჯახურ კეთილდღეობას.

**გულწრფელი პატივისცემით:**
საქართველოს კაზაკთა
კავშირის
უმაღლესი ატამანი
***ვასილ კადენეცი,***
საქართველოს კაზაკთა
საერთაშორისო
საქველმოქმედო
ფონდის პრეზიდენტი
***პეტრე პეტკაჩოვი***

# ოცი წელი აქტიურ სპორტსა და მოღვაწეობაში...



საქართველოს პირველი ჩემპიონატი ახალგაზრდებში 1981 წელი. კახა ბასილია (მარცხნივ)

კაცობრიობას, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, წითელი ზოლივით გასდევს უმთავრესი კითხვა: - რისთვის ვართ მოვლენილი ამ ქვეყნად და რაში მდგომარეობს ჩვენი არსებობის აზრი.

ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ამ კითხვაზე სწორი პასუხი გააჩნია და რომელიც ცხოვრობს ქაოსში თავის, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს პოულობს.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის, საქართველოს სტუდენტურ კარატე-დოს ფედერაციის, საქართველოს შოტოკან-კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს თავდაცვიოს მინისტრის კონსულტანტი კახა ბასილია სწორედ ამგვარი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის.

დრეს, საქართველოს პერმანენტულად კარგავს თავის საუკეთესო ერის შვილებს, ისინი სხვა ქვეყნებში ამჯობინებენ თავისი თავის რეალიზაციას. ასეთ მძიმე ვითარებაში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც სიძნელეების გადალახვას არ შეუშინდება და რთულ გზას აირჩევს.

ბატონი კახა მთელ თავის შემოქმედებით ნიჭს და გამოცდილებას სწორედ საქართველოს ჯანმრთელი და სრულფასოვანი თაობის აღორძინებას ახმარს.

კახა ბასილია თბილისის ძირძველ უბანში დაიბადა 1964 წლის 22 ივლისს. ბავშვობიდანვე მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩეოდა. ოთხი წლის ასაკში ცეკვამ გაიტაცა, შემდეგ სწავლობდა მუსიკალურ შვიდწლედში, თორმეტი წლის ასაკში, მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, რომელმაც მისი მთელი ცხოვრება განსაზღვრა.



მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი სამხედრო ორთაბრძოლების ფრანგი ოსტატი დომინიკ ვალერა (მარცხნივ) და კახა ბასილია (მარჯვნივ) 1988 წელი

ცნობისმოყვარეობით აღვსილი, პატარა ბიჭი, შემთხვევით ხვდება უცხოელ ჟურნალისტს, რომელიც მას კარატეს რამდენიმე ილეთს ასწავლის და უტოვებს სახელმძღვანელოს, ამ დროიდან კახა ვარჯიშს იწყებს ახლად შემოსულ აღმოსავლურ ორთაბრძოლის ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში კარატე-დოში.

შემდეგ იყო უნივერსიტეტის ჯგუფი, სოსო დოლიძის ხელმძღვანელობით, შემდგომ, სამედიცინო ინსტიტუტს დარბაზში ვარჯიში, ომარ რევიშვილის ხელმძღვანელობით.

1980 წელს ტარდება პირველი შეჯიბრი, ამ დროისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა მოგებას, რადგან მაშინ ყველა სწავლობდა და წაგება-მოგება ლატარიას ბილეთს ჰგავდა.

1981 წელს კი მოვიდა პირველი გამარჯვებაც ახალგაზრდულ ჩემპიონატში და კახა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ხდება, ამავე წელს ტარდება საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ქ. ყარაგანდაში ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ნაკრებიდან მხოლოდ კახა მიდის ნახევარფინალამდე (60 კგ. წონით კატ.) და გარკვეული მიზეზების გამო, მხოლოდ მე-4 ადგილს ჯერდება. როგორც ხშირად ხდება, მისთვის სამართლიანად განკუთვნილი მე-3 ადგილი სხვას მიანიჭეს.

1982-83 წ.წ. კახა ბასილია ჯარში მსახურობს და 1983 წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში (65 კგ. წონით კატ.) მე-5 ადგილს იკავებს. ჩემპიონატი ქ. ლენინგრადში ჩატარდა.

1983 წელს, გაურკვეველი, ცრუ მოსაზრებების გამო, კარატე, როგორც სპორტის სახეობა, ოფიციალურად იკრძალება.

კახა აგრძელებს სპორტში სხვა განხრით მოღვაწეობას. ის ხდება სპორტის ოსტატობის კანდიდატი – კლასიკურ ჭიდაობაში, ენიჭება I თანრიგი თავისუფალ ჭიდაობაში და სამბოში.

ჯარის შემდგომ, იგი სწავლას აგრძელებს ქ. ლვოვის ხე-ტყის ინსტიტუტში. აქ მას მიეცა საშუალება დაემყარებინა კონტაქტი პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის კარატეს ფედერაციებთან.

1986-89 წ.წ.-ში იგი წელიწადში რამდენიმე თვე სტუდენტური გაცვლის პროგრამით ცხოვრობს პრაღაში და 1986 წ. აბარებს გამოცდას მე-2 დანზე J.K.A-ს (იაპონიის კარატე-დოს ასოციაცია) ინსტრუქტორთან, რომელიც იმ წლებში კურირებდა ჩეხოსლოვაკიის ფედერაციას.

კახა ბასილია, ხდება პრაღის ნაკრების წევრი და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში. 26 არაერთხელ ასახელა და წარმატება მოუტანა თავის გუნდს.

1989 წელს საბჭოთა კავშირი აუქმებს თავის აკრძალვას და კარატე კვლავ ოფიციალური სპორტის სახეობა ხდება. ამავე წელს სსრკ-ს პირველი ჩემპიონატი ტარდება. კახა ბასილია ასპარეზობს უკრაინის სახელით და ხდება ჩემპიონი კატაში, ამავე დროს იმსახურებს მე-3 ადგილს კუმიტეში (65 წონით კატ.). 1989 წელსვე მას ირჩევენ ჯერ ლვოვის, ხოლო შემდეგ უკრაინის სამხედრო ორთაბრძოლების ორგანიზაციის პრეზიდენტად.

1990 წელს ტარდება საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში და აქაც კატაში გამარჯვებული ისევ კახა ბასილია ხდება.

1990 წელს საქართველოში ბატონ ზურა მერაბიშვილის თაოსნობით ყალიბდება ტრადიციული კარატე-დოს ფედერაცია, რომელიც ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობისას მონაწილეობას იღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა პერუს დედაქალაქ ლიმაში.

საქართველოს სპორტის ისტორიაში, ეს იყო პირველი გასვლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით და დარბაზში პირველად აფრიალდა საქართველოს ეროვნული დროშა. მაშინ ამ ღონისძიებას დიდი რეზონანსი მოჰყვა გარკვეულ წრეებში.

ალბათ საჭიროა იმ პიროვნებების მოხსენიება, რომლებმაც მთელი თვისი გულისხმევა და ენერგია მოახმარეს ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმეს. აი მათი სახელებიც: ნაკრების მწვრთნელი: ზურაბ ლეჟავა, ნაკრების წევრები: გია ბაკურაძე, თემურ ცქიტიშვილი, კახა ქუთათელაძე, ავთო რაზმაძე სპარტაკ გოცირიძე და კახა ბასილია.

საქართველოს ფედერაცია მსოფლიო ფედერაციაში წევრიანდება, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბატონ ზურაბ მერაბიშვილს.

როგორც ბატონ კახა ბასილიამ აღნიშნა, სწორედ ამ დღიდან დაიწყო ქართულმა კარატემ თვისი ათვლის საერთაშორისო ასპარეზზე ასვლა. სწორედ ზემოთ მოხსენებული ხალხის დამსახურებაა, რომ დღეს ქართული კარატეს მთელს მსოფლიოში იცნობენ და უწევენ ანგარიშს.

1991 წელს, შოტოკან კარატე-დოს მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრები მე-3 გუნდურ ადგილს იკავებს.

სწორედ აქ შედგა კახა ბასილიას და თანამედროვე ტრადიციული კარატე-დოს ლიდერის, მსოფლიოს შვილების ჩემპიონის, ლეგენდარული ოსტატის: ჰიტოში კასუიას მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა.

1992 წელს კახა ბასილია რუ-



(მარცხნიდან) ჰიტოში კასუია, გიორგი ბარამიძე, კახა ბასილია. ქ. ტოკიო



კახა ბასილია საერთაშორისო სემინარზე

მინეთში აბარებს უძლიერეს გამოცდას და სწორედ ჰიტოში კასუის ხელიდან მიენიჭა მას მე-3 დანი.

1991 –93 წლებში საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, იგრძნობოდა დაბნეულობა და ანარქია. კახა ბასილია მათ რიგებში იყო, ვინც ეროვნულ ინტერესებს იცავდა, ცდილობდა აეცილებინა სისხლისღვრა და იბრძოლა თავისი მრწამსისა და სამართლიანობის გადასარჩენად.

1993 წლის ბოლოდან კახა მოსკოვში მიემგზავრება, სადაც მისი თაოსნობით ჩამოყალიბებას იწყებს „რუსეთის შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია“.

1994 წელს კახა ბასილია ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების სახელით ასპარეზობს კახა და კუმიტეში ბრინჯაოს მედალის მფლობელი ხდება.

ამავე წელს მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის რეკომენდაციით იქმნება აღმოსავლეთ ევროპის, შოტოკან-კარატე დოს ასოციაცია! ამ ასოციაციაში ხელმძღვანელის საპატიო წოდება კახა ბასილიას მიანიჭეს, ამავე დროს მას ირჩევენ რუსეთის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტად. კახა ბასილიას თაოსნობით, რუსეთის თითქმის ყველა რეგიონში იქმნება ფილიალები.

სულ რამოდენიმე წელიწადში ფედერაციაში გაერთიანებული ხალხის რაოდენობა რამოდენიმე ათეულიდან 15 ათასამდე გაიზარდა. კახა ბასილიას ძალისხმევით შეიქმნა ძლიერი ფილიალები ბელორუსიაში და უკრაინაში. აქვე გაწევრიანდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, საბერძნეთის და ისრაელის წარმომადგენლები.

1996 წელს ბატონი კახა ბასილია ბრუნდება საქართველოში და მისი თაოსნობით ყალიბდება კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, რომლის შეფ-ინსტრუქტორი თავად ხდება. ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კი მისი მეგობარი და კარატეს დიდი თაყვანისმცემელი, ახალგაზრდა პოლიტიკოსი, გია ბარამიძე. ჰმის შემდგომ აუცილებელი ხდება ეროვნული ფედერაციის მსოფლიო ფედერაციაში გაწევრიანება და, თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ მოთხოვნებს რასაც მსოფლიო ფედერაცია თავის წევრებს უყენებს, ეს მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე იყო.

1996 წელს ისევ კახა ბასილიასათვის დაშვებული იქნა გამონაკლისი და იგი მიიწვიეს იაპონიის ჩემპიონატზე. რამდენიმე თვით ადრე დაიწყო მზადება, ეს იყო დღეში 6-8 საათი თავდაუზოგავი და სერიოზული ვარჯიში.



კახა ბასილია საერთაშორისო სემინარზე

„ჩემპიონატზე ჩემი მასწავლებლის ავტორიტეტის გამო მიმიწვიეს და მე არ მაქვს ცუდი გამოსვლის უფლება“. ასეთი იყო მისი მრწამსი და მართლაც, ამ ჩემპიონატზე პირველად ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა არაიაპონელმა და ეს ადამიანი ქართველი იყო.

ამ ჩემპიონატზე კახას გამარჯვებამ თავისი როლი ითამაშა და საქართველოს კარატე-დოს ფედერაცია, ყოველგვარი წინასწარმოსამზადებელი ეტაპის გარეშე იაპონიის კარატე-დოს ფედერაციის რეკომენდაციით გაწევრიანდა მსოფლიო კარატე –დოს ფედერაციაში.

1997 წელს ბატონი კახა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელი და წევრია. იგი ნაკრებთან ერთად მიემგზავრება ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე შოტოკან კარატე-დოში. საუბედუროდ, ჩემპიონატის მსვლელობაში, მან მიიღო ტრავმა, რის გამოც ვერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და საპრიზო ადგილს დასჯერდა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოში კარატეს არც ერთი ორგანიზაცია არ ასრულებდა საერთაშორისო ნორმებს, იგრძნობოდა სრული ქაოსი.

სულ მოკლე ხანში, სენსეი კახას დიდი ძალისხმევით საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია გარდაიქმნა ორგანიზებულ და დისციპლინირებულ, ჯანსაღ ძალად, რომლის რიგებშიც დღეს 5 ათასზე მეტი ადამიანია გაწევრიანებული. ფედერაცია სპორტული ორგანიზაციიდან ნელ-ნელა გარდაიქმნა საზოგადოების შემადგენელ ნაწილად, მისი მიზნები არა მარტო კარატეს, როგორც სპორტის სახეობის განვითრებაა, ამ ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებს სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა თაობის სულიერ, ფიზიკურ განვითარებას მოახმარონ.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1997 წლის 7 იანვარს გადაიდგა, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებს კარატე-დოს, როგორც სპეციალურ და სავალდებულო დისციპლინას, რომლის საშუალებითაც მოხდება განსაკუთრებული სულიერი და ფიზიკური განვითარების მეთოდის დანერგვა შეიარაღებულ ძალებში. ამ საქმეს დღეს 200-მდე ინსტრუქტორი უანგაროდ ემსახურება. მათ იციან რომ სწორედ მათ ნიჭზე და ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული ქართული ჯარის ხვალინდელი დღე.

ბატონი კახა ბასილიას ხელმძღვანელობით მომზადებულია პროგრამა განათლების სამინისტროსათვის. ფედერაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასთან; მას დიდი მეგობრობა აკავშირებს საქართველოს მოქალაქეთა კავშირთან.

წლების მანძილზე, ფედერაციის მიერ უამრავი ღონისძიებაა ჩატარებული. მათ შორის, ტურნირი „კავკასიის თასი“, „შავი ზღვის ქვეყნების თასი“ და სხვა.

დღეს, საქართველოს ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა, დიდ ზნეობრივ დეფიციტს განიცდის.

დემოგრაფიული და რეპროდუქციული ცენტრების ინფორმაციის თანახმად, საქართველოს კატასტროფის წინაშე დგას. შობადობის შემცირება, არაჯანსაღი ცხოვრებისაგან გამოწვეული მრავალი დაავადების მკვეთრი მატება, ნარკომანიის პრობლემის აქტუალობა და სხვა მრავალი.

მისი ოცნება და მიზანია, საქართველო კვლავ იქცეს, დღეს უკვე მივიწყებულ ძლიერ და ზნეობრივ ქვეყანად, რომელიც განთქმული იყო თავისი მეომრებით და ბრძოლისუნარიანობით. მისი სიტყვების მიხედვით, კარატე გამოყენებული უნდა იყოს როგორც ფიზიკური და სულიერი მომზადების უნივერსალურ სისტემად. ეს სისტემა დაფუძნებული იქნება აღმოსავლეთის და დასავლეთის უნიკალური ცოდნის გამოყენებით და ქართული საბრძოლო ტრადიციების აღორძინებაზე, ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით.



კახა ბასილია და დავით თევზაძე 1997 წლის 7 იანვრის ხელშეკრულების გაფორმების დროს

კახა ბასილიას საყვარელი გამონათქვამია „ყველაზე კარგი ხე საკუროა (ალუბალი), ყველაზე კარგი კაცი კი – მეომარი“. ამ სიტყვებში გარკვეული იდეოლოგიაა, რომელიც მისაღები უნდა გახდეს ახალგაზრდა თაობისთვის, ვინაიდან სწორედ იდეოლოგიის, გარკვეული მიზნის არქონამ მიიყვანა დღევანდელობა უფსკრულთან.

ყოველ ქართველ კაცშია მიძინებული მეომრის გენი, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეუძლია, ყველაფერმა ამან კი შექმნა დავითის და თამარის ბრწყინვალე ერა და მხოლოდ მას შეუძლია საქართველოს მომავლის განსაზღვრა.

უდიდესი ბედნიერებაა, რომ დღეს ამგვარი ადამიანები არიან და მთელი არსებით ემსახურებიან თავიანთ მიზანს. ბატონი კახა ბასილია სწორედ ის პიროვნებაა, ვინც სათავეში უდგას ამ ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანეს საქმეს!

მოამზადა
მაია ბოკერიამ

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**